ბიულეტენი

№ 58
2001
აგვისტო

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

- მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ანალიზი (თბილისის მაგალითზე)
- რეფორმა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციის შედეგები

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 02 - 00951

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

გიგა გველესიანი
ხათუნა ჩხეიძე
მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ანალიზი (თბილისის მაგალითზე) ---------- 3

ალექსანდრე წერეთელი
რეფორმა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციის შედეგები ---------- 22

„Analyse des Konsumbedarfs der Bevölkerung. Reform und Auswirkungen der Transformierung von sozialwirtschaftlichen Strukturen“
Bull. Nr. 58: August 2001

Auflage:	1000
Verfasser:	Zentrum für Strategische Studien und Entwicklung Georgiens
Seitenzahl:	46
Sprache:	Georgisch
Originaltitel:	`mosaxleobis samomxmareblo xarjebis analizi (tbilisis magalitze)' ‚reforma da socialur-ekonomikuri struqturis transformaciis sedegebi'

თბილისი

C 02-0095

საქართველოს სამომხმარებლო ხარჯების ანალიზი (მოსახლეობის პროფილი)

გიგა გველესიანი
ხათუნა ჩხეიძე

დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველო მოიცვა შიდა კონფლიქტებმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა, რასაც შედეგად ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი და მტკივნეული დაცემა მოჰყვა. განსაკუთრებულ ინტერესს ამ პირობებში იწვევს მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების შესწავლა და მათზე დაკვირვებით გარკვეული დასკვნების გამოტანა, ვინაიდან უდავოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის შემოსავლების უმეტესი ნაწილი შემოსავლის მიმღებთაგან ისევ ბრუნდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯების სახით. ამ ხარჯების მიმართულებების შესწავლა საშუალებას იძლევა გავერკვეთ, თუ ეკონომიკის რომელი სფეროების წახალისებას აქვს ადგილი ქვეყანაში, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამა თუ იმ დარგის განვითარება წარმოუდგენელია მოსახლეობის მხრიდან არსებული სტაბილური მოთხოვნის გარეშე ამ დარგის პროდუქციაზე.

სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურაზე და რაოდენობაზე დაკვირვება სხვა მხრივაც საინტერესოა. ამ ხარჯების ანალიზი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მეტ-ნაკლებად რეალური სურათი მოსახლეობის დღევანდელი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ხარჯების სახეობების მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, როგორც არსებული რეალური შემოსავლების შესახებ, ასევე ამ შემოსავლების საკმარისობაზე მინიმალური საარსებო პირობების შექმნის თვალსაზრისით მაინც.

სამომხმარებლო ხარჯების შესწავლას უდიდესი ყურაღება ექცევა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ხარჯების ანალიზისათვის საჭიროა მათი კლასიფიკაცია ანუ გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით დაჯგუფება. აშშ-ში სამომხმარებლო ხარჯების კლასიფიკაცია შემდეგია:

1. ხარჯები გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე;
2. ხარჯები მოკლევადიანი მოხმარების საქონელზე;
3. ხარჯები გაწეული მომსახურებაზე.

საქონელი გრძელვადიანი მოხმარებისაა, თუ მისი სავარაუდო მოხმარების ვადა აღემატება ერთ წელს, სხვა შემთხვევაში ითვლება მოკლევადიანი მოხმარების საქონლად, ხოლო მომსახურების ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატთა, ექიმთა და ა.შ. საქმიანობა. აშშ-ის ეკონომიკა აშკარად ორიენტირებულია მომსახურებაზე, ვინაიდან მომხმარებელთა ხარჯების 50%-ზე მეტი სწორედ ამ სფეროზე მოდის.

ცხოვრების დონეზე დაკვირვების ჩასატარებლად მნიშვნელოვანია გრძელვადიანი მოხმარების საქონლის და მომსახურების სფეროში გაწეული ხარჯების ანალიზი. მოკლევადიანი მოხმარების საქონლისაგან (ხარჯები მეტ-ნაკლებად სტაბილურია) განსხვავებით, გრძელვადიანი მოხმარების საქონლის ხარჯებში გარკვეული პერიოდულობა შეიმჩნევა. კერძოდ, ცხოვრების დონის გაუარესებისას მოსახლეობა, პირველ რიგში, უარს ამბობს გრძელვადიანი მოხმარების საგნების (მაგ. ავტომანქანა, ავეჯი) შეძენაზე, ვინაიდან არსებობისათვის უფრო მნიშვნელოვანი მოკლევადიანი მოხმარების საქონელია (მაგ. სურსათი, ტანსაცმელი).

თავის მხრივ, საინტერესოა მოსახლეობის მიერ შეძენილი მოკლევადიანი მოხმარების საქონელის შემადგენლობის ანალიზიც, ანუ შემოსავლის რა ნაწილს ხარჯავს მოსახლეობა სურსათის შეძენაზე. თუ მოსახლეობა თავისი შემოსავლების უმეტეს ნაწილს ხარჯავს სურსათზე, იგი, ფაქტიურად, სიღარიბის ზღვარზე

საქართველოს საშუალო სტრუქტურაში ოჯახი, რომ ერთი ადამიანი დღეში იღებს 2 500 ჯერ ნაკლებ ფულს

იმყოფება. სილარიბის ზღვარის დადგენის მეტად ორიგინალურ ხერხს წავაწყდით - საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში თვლიან, რომ თუ ერთი ადამიანი დღეში იღებს 2 500 კკალ იგი არ არის ღარიბი. 2001 წლის 1 კვარტალის ოფიციალური მონაცემები შემდეგნაირად გამოისახა:*

სამეგრელო-ზემო სვანეთი	3 310 კკალ
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2 820 კკალ
მცხეთა-თიანეთი	2 350 კკალ
იმერეთი	2 820 კკალ
შიდა ქართლი	2 350 კკალ
კახეთი	2 680 კკალ
გურია	2 840 კკალ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2 440 კკალ
სამცხე-ჯავახეთი	2 600 კკალ
ქვემო ქართლი	2 110 კკალ
თბილისი	2 290 კკალ

ცხოვრების დონეზე შეიძლება ვიმსჯელოთ მოსახლეობის მიერ გაიწეული ხარჯების რაოდენობითაც, მაგალითად ახალი ცოდნის დაუფლებაზე (ანუ განათლებაზე) ან დასვენებაზე. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი რეალობა საკმაოდ მძიმეა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იძულებულია შემოიფარგლოს უბრალოდ მისი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფი საქონლის შეძენით. მოსახლეობა მეტნაკლებად ნორმალურ დონეზე ცხოვრობას ახერხებს მხოლოდ იმიტომ, რომ ადრეულ პერიოდში შეძენილი გრძელვადიანი მოხმარების საქონელი (ძირითადად, ამორტიზირებული) შემორჩა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის - „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა“ - სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვა მიზნად ისახავდა დედაქალაქის მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურის შესწავლას. 2001 წლის გაზაფხულის განმავლობაში სულ 250 ოჯახი გამოიკითხა.

დედაქალაქის მოსახლეობის 42%-ის ყოველდღიური ხარჯი 2 ლარს არ აღემატება

გამოკითხვის შედეგებზე შესაძლებელია გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. კითხვები ეხებოდა დედაქალაქის მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯების სხვადასხვა მიმართულებებს და იკვლევდა მათ მოცულობას და სტრუქტურას. გამოკითხული მოსახლეობა დაყოფილი იყო გარკვეულ ჯგუფებად: 18-დან 30-წლამდე, 31-დან 45-წლამდე, 46-ზე მეტი ასაკის, მასწავლებლები, სტუდენტები), რაც ჯგუფებს შორის განსხვავებების და საერთო ტენდენციების შესწავლის საშუალებას იძლევა.

საშუალო ყოველდღიური ხარჯების შესახებ კითხვაზე მოცემული იყო პასუხის ხუთი ვარიანტი: 1-2 ლარი; 2-5 ლარი; 5-10 ლარი; 10-15 ლარი; 15-20 ლარი. გამოვლინდა, რომ დედაქალაქის მოსახლეობის 42%-ის ყოველდღიური ხარჯი 2 ლარს არ აღემატება (იხ. დანართი №1). ცალკეული ჯგუფების მიხედვით აღმოჩნდა, რომ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ასეთი ხალხი უფრო მეტია მასწავლებლებში (51,78%), სტუდენტებში (49,02%), 18-დან 30 წლამდე (50%) და 46 წელზე უფროს მოსახლეობაში (44,24%). ერთადერთი ჯგუფი ფაქტიურად აღმოჩნდა მოსახლეობა საშუალო წლოვანებით (31-45 წელი), რომლის მაჩვენებელიც საშუალოზე ნაკლები იყო. მოსახლეობის ამ ჯგუფში ყოველდღიური ხარჯი ორ ლარზე ნაკლები აღმოაჩნდა მხოლოდ 33,33%-ისათვის. ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დღესდღეობით საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ საშუალო ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება. ხოლო საკმაოდ მაღალი ყოველდღიური ხარჯების მქონე (15-20 ლარი) ადამიანების უფრო დიდი ხვედრით წილია დიდი ასაკის მოსახლეობაში. 46 წელზე უფროსი მოსახლეობის ჯგუფში ასეთი ყოველდღიური ხარჯების მქონე მოქალაქეები 4,48%-ს შეადგენენ. როგორც საშუალო (2%), ასევე სხვა ჯგუფების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, ეს საკმაოდ ბევრია.

მასწავლებლების ყოველდღიური დანახარჯები სტუდენტებისაზე მეტია, რაც დამაფიქრებელი ფაქტია

სხვებთან შედარებით კატასტროფულად მცირე ყოველდღიური ხარჯის მქონე ადამიანთა ხვედრითი წილი ყველაზე დიდი მასწავლებლებშია. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი დღესდღეობით სოციალურად საკმაოდ დაუცველია. გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ მასწავლებლების ყოველდღიური დანახარჯები სტუდენტებისაზე მეტია, რაც დამაფიქრებელი ფაქტია.

მეორე კითხვა ეხებოდა საშუალო თვიურ ხარჯს მოკლევადიანი მოხმარების საქონელზე. მოცემული იყო ექვსი შესაძლო პასუხის ვარიანტი და საშუალო შედეგები (იხ. დანართი №2) პროცენტულად შესაძლო პასუხებს შორის შემდეგნაირად განაწილდა: 1-50 ლარი - 46,50%; 50-100 ლარი - 33%; 100-200 ლარი - 15,50%; 200-500 ლარი - 3,50%; 500-1000 ლარი - 1,50%; 1000-ზე მეტი - 0%. აქედან გამომდინარე, გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (46,50%) განაცხადა, რომ მათი საშუალო ყოველთვიური ხარჯი მოკლევადიანი მოხმარების საქონელზე არ აღემატება 50 ლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ხარჯები მოკლევადიანი მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მთლიანი ხარჯების უმეტეს ნაწილს შეადგენს, გასაგები ხდება მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მძიმე მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ მოსახლეობაში არც ერთი არ მიუთითებს შესაძლო პასუხებიდან მეექვსეს (ანუ 1000 ლარზე მეტი). ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ასეთი შეძლებული ფენა საკმაოდ მცირერიცხოვანია.

გამოკითხულთა ცალკეულ ჯგუფებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული მდგომარეობაა. სტუდენტებში ყველაზე დიდი ნაწილის, 56,86%-ის ხარჯი საშუალოდ თვეში 50 ლარზე მეტი არ იყო. ასეთი მცირე ხარჯების მქონე მოქალაქეები აგრეთვე საშუალო მაჩვენებელზე მეტი იყო 46 წელზე უფროსი მოსახლეობის ჯგუფში - 49,01%. მცირე ყოველთვიური ხარჯის მქონე ადამიანები შედარებით ცოტა აღმოჩნდნენ 31-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობაში. თვეში 50 ლარზე ნაკლებს მოკლევადიანი მოხმარების საქონელზე ამ ჯგუფში მხოლოდ 40,74% ხარჯავს, რაც საშუალო მაჩვენებელზე საგრძნობლად ნაკლებია; თუმცა, თვითონ ჯგუფში ასეთი მცირეხარჯიანი ადამიანების ნაწილი მაინც პირველ ადგილზეა პროცენტულად. ამ ასაკის მოსახლეობაში თვეში 50-დან 100 ლარამდე თანხას 38,89% ხარჯავს.

საერთოდ მოკლევადიანი მოხმარების საქონელი უმეტესად ფიზიკური არსებობისთვისაა აუცილებელი, ამიტომ მოსახლეობა მასზე ხშირად ვერ ახერხებს ხარჯების ეკონომიას. გაჭირვების პერიოდებში იგი იძულებულია სხვა მიმართულებებით შეკვეცოს ხარჯები, რათა შესძლოს არსებობის გაგრძელება.

შემდეგი კითხვა ეხებოდა მოსახლეობის მიერ გაწეულ წლიურ ხარჯებს გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე. საერთოდ, მოსახლეობა ამ ტიპის ხარჯებს ქვეყანაში შედარებით უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდში გასწევს ხოლმე. დასმულ კითხვაზე მოცემული იყო ექვსი შესაძლო პასუხი და საშუალო შედეგები შემდეგი სახით გადანაწილდა: 1. 0 ლარი - 59%; 2. 0-100 ლარი - 25%; 3) 100-400 ლარი - 8%; 4) 400-600 ლარი - 3,50%; 5) 600-1000 ლარი - 2,50%; 6) 1000-ზე მეტი - 2%. მიღებული პასუხებიდან ირკვევა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი (59%) წლის განმავლობაში საერთოდ არ იძენს გრძელვადიანი მოხმარების საქონელს (იხ. დანართი №3). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხვა დედაქალაქში ჩატარდა, სადაც შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობაა, ეს მაჩვენებელი საკმაოდ მწვავე დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ცალკეული ჯგუფების მაჩვენებლების ანალიზით შემდეგი სურათი გამოიხატა: აღმოჩნდა, რომ გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე დანახარჯები 46 წელზე უფროსი მოსახლეობის 69,44%-ს და მასწავლებლების 60,71%-ს არა აქვთ, ანუ ეს მაჩვენებლები ამ ჯგუფებში საშუალოზე (59%) უარეს სიტუაციაზე მიგვანიშნებს. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ოდნავ ნაკლები აღმოჩნდა ასეთი ადამიანები 18-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობაში - 55,49%; 31-დან 45 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში - 48,15% და სტუდენტებში კი - 57,88%.

განვიხილოთ მდგომარეობა საკმაოდ დიდი ხარჯის (1000 ლარზე მეტი) მხრივ, როგორც საშუალოდ, ასევე ცალკეულ ჯგუფებში. ასეთი ხალხი ყველაზე მეტი აღმოჩნდა 31-დან 45 წლის ასაკის მოსახლეობაში - 5,63%, ფაქტიურად ამ შედარებით მაღალმა მაჩვენებელმა მოახდინა ზეგავლენა საშუალოზე (2%). რაც შეეხება სტუდენტებსა და 18-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობას ამ ჯგუფებში ასეთი დანახარჯების მქონე ხალხი საერთოდ არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ გრძელვადიანი მოხმარების საქონელი მოსახლეობას შემორჩენილი აქვს ჯერ კიდევ ძველი პერიოდიდან, რაც მათ დღევანდელ მდგომარეობას შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, ამსუბუქებს. გრძელვადიანი ხარჯების მხრივ, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა 31-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობა.

შემდეგი კითხვა - „თქვენი შემოსავლის რა ნაწილი გეხარჯებათ სურსათზე?“ - გაცემული პასუხების ანალიზი საკმაოდ საინტერესოა. მოცემული იყო შესაძლო პასუხების ხუთი ვარიანტი: 20%; 40%; 60%; 80%; 100%. გაცემული პასუხების ანალიზის შედეგად მიღებულია შემდეგი საშუალო შედეგები: 1 - 25,50%; 2 - 6,50%; 3 - 16%; 4 - 43%; 5 - 9% (იხ. დანართი №4). როგორც ვხედავთ ყველაზე მეტი ხმა პასუხის მეოთხე ვარიანტზე (შემოსავლის 80% იხარჯება სურსათზე) მოდის. ამ ვარიანტმა გამოკითხულთა 43%-ის ხმა მიიღო. შედეგები საკმაოდ არასასიამოვნოა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულთა 9% თავისი შემოსავლების 100%-ს საკვები პროდუქტების შეძენაზე ხარჯავს ისინი უფრო დამძიმდება. შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი (68%) თავისი შემოსავლების ნახევარზე მეტს სურსათის შეძენაზე ხარჯავენ.

ცალკეულ ჯგუფებზე დაკვირვებით ჩანს, რომ სტუდენტების და 31-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობის მეტი წილი (შესაბამისად 76,47% და 63,89%) სურსათზე შემოსავლების მხოლოდ 20%-ს ხარჯავენ. სამაგიეროდ სიტუაცია საკმაოდ არასახარბიელოა დანარჩენ სამ ჯგუფში. 31-დან 45 წლამდე ასაკის, 46 წელზე მეტი ასაკის და მასწავლებლების ნახევარზე მეტი შემოსავლების 50%-ზე მეტს სწორედ სურსათზე ხარჯავენ

* წყარო: „სტატისტიკური ბიულეტენი“, 2001, №3, გვ.16.

(შესაბამისად 90,88%; 94,44% და 91,07%). ყველაზე მეტი ადამიანი, რომელიც შემოსავლების 100%-ს სურსათზე ხარჯავს უფროსი ასაკის მოსახლეობაში (46 წელზე უფროსი) აღმოჩნდა და 18,05% შეადგინა. მეორე ადგილზე - 8,93%, ამ მაჩვენებლით მასწავლებლებია.

შედარებით უკეთესი ვითარებაშია სტუდენტები: 76,47% სურსათზე ხარჯავს შემოსავლის მხოლოდ 20%-ს და არც ერთი გამოკითხული სტუდენტი არ ხარჯავს კვებაზე შემოსავლის 100%-ს. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ძირითადად მშობლების ხარჯზე ცხოვრობენ. სასურსათო ხარჯების საშუალო ხვედრითი წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება:*

რეგიონი	1998		1999		2000		2001
	I კვ	1998	I კვ	1999	I კვ	2000	I კვ
აჭარის არ	51	52	49	50	51	56	56
გურია	58	65	44	53	35	59	74
თბილისი	58	58	61	57	49	52	49
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	50	53	46	49	40	55	73
კახეთი	53	62	45	59	40	56	71
მცხეთა-მთიანეთი და შიდა ქართლი	49	60	41	62	35	54	66
სამეგრელო-ზემო სვანეთი	39	47	48	58	51	60	76
სამცხე-ჯავახეთი	46	49	34	46	42	52	69
ქვემო ქართლი	61	60	46	56	48	57	68

ერთ-ერთი კითხვა საკმაოდ პრობლემატურ სფეროს, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის დაცვაზე ყოველთვიურ ხარჯებს ეხებოდა. მიღებული ანალიზის საფუძველზე კითხვაზე პასუხების ოთხ შესაძლო ვარიანტზე შედეგები შემდეგი სახით გამოიხატა: 1. 0 ლარი - 47%; 2. 1-10 ლარი - 35%; 3. 10-20 ლარი - 10,50%; 4) 20 ლარზე მეტი - 7,50%. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვლინდა შემდეგი სიტუაცია: მოსახლეობის თითქმის ნახევარი (47%) ჯანმრთელობის დაცვაზე საერთოდ არ ხარჯავს თანხებს (იხ. დანართი №5). ეს, ალბათ, ხშირ შემთხვევაში უსახსრობით, და არა შესაშური ჯანმრთელობით, შეიძლება აეხსნათ (გამოკითხულთა უმეტესობა სწორედ უსახსრობაზე მიუთითებდა). საყურადღებოა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 7,50%-მა მიუთითა, რომ ამ სფეროში მათი ხარჯები 20 ლარზე მეტია.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმეტესობა ანუ 81,50% სპორტზე ვერაფერს ვერ ხარჯავს

ჯგუფების მიხედვით ამ კითხვაზე პასუხების შედეგები ერთმანეთისგან რადიკალურად არ განსხვავდებოდნენ. შედარებით ახალგაზრდა ასაკის ჯგუფების (სტუდენტები და 18-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობა) წარმომადგენელთა საშუალოზე მეტი ჯანდაცვაზე არაფერს არ ხარჯავს (60,78% და 56,94%). საშუალო მონაცემებთან შედარებით ოდნავ ნაკლები შედეგები იყო შემდეგ ჯგუფებში: 31-დან 45 წლამდე ასაკის - 44,45%, 46 წელზე უფროს მოქალაქეებში - 40,28% და მასწავლებლებში - 46,43%. თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯანმრთელობის დაცვაზე დასახარჯი სახსრები არ გააჩნიათ, ჯგუფებს შორის განსხვავებანი საკმაოდ კანონზომიერად განაწილდა. ჯანდაცვაზე თვეში 20 ლარზე მეტი დანახარჯების მქონე ადამიანები შედარებით ნაკლებია 31-დან 45 წლამდე ასაკის მოსახლეობაში და სტუდენტებში, შესაბამისად, 3,70% და 5,71%. საინტერესოა, რომ საკმაოდ ბევრი სტუდენტი ჯანდაცვაზე ყოველთვიურად 20 ლარზე მეტს ხარჯავს.

აღსანიშნავია, რომ კითხვარში მოცემული შესაძლო პასუხები საკმაოდ მცირე თანხებს წარმოადგენდა, რაც მხოლოდ დღევანდელი მძიმე ეკონომიკური კრიზისით შეიძლება აიხსნას, და რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ამ თანხებსაც კი ვერ გაიღებს.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ეხებოდა მომსახურების სფეროს იყო: „რამდენი გეხარჯებათ თვეში ისეთ მომსახურებაზე როგორიცაა სპორტი?" კითხვაზე პასუხების ოთხი ვარიანტის გაანალიზების შედეგად შემდეგი შედეგები მივიღეთ: 1. 0 ლარი - 81,50%; 2) 1-20 ლარი - 15%; 3) 20-100 ლარი - 3,50%; 4) 100 ლარზე მეტი - 0%. ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, რეალობა საკმაოდ არასასიამოვნოა. გამოკითხულთა აბსოლიტური უმეტესობა, ანუ 81,50% სპორტზე ვერაფერს ვერ ხარჯავს (იხ. დანართი №6). დღესდღეობით რესპოდენტთა უმეტესობა იძულებულია თითქმის მთელი თავისი შემოსავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის ხარჯებზე დახარჯოს და მომსახურების ისეთი სახე, როგორიცაა მაგალითად, სპორტი, გარიყული რჩება.

სამწუხაროდ, სპორტზე არც ერთი რესპოდენტის ყოველთვიური დანხარჯი არ აღემატება 100 ლარს, ხოლო სტუდენტთა ჯგუფში 82,35% სპორტზე ვერანაირ თანხებს ვერ გაიღებს. ეს კი საშუალო მაჩვენებელზე - 81,5%, მეტია, რაც მეტად დამაფიქრებელია. ლოგიკურად, ასეთი ხალხი სტუდენტებში ყველა სხვა ჯგუფთან შედარებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. რეალურად ასეთები ყველაზე ნაკლები, სტუდენტებთან შედარებით, უფრო მოზრდილი 31-დან 45 წლამდე ასაკის რესპოდენტები აღმოჩდნენ და 75,93% შეადგინეს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 88,89%, კი

* წყარო: „სტატისტიკური ბიულეტენი", 2001, №3, გვ.13.

უფროსი ასაკის მოსახლეობას (46 წელზე უფროსი) ჰქონდა. ასაკის გათვალისწინებით, ეს ვითარება კანონზომიერია.

სპორტზე მაქსიმალურმა ყოველთვიურმა დანახარჯებმა 20-100 ლარი შეადგინა, თუმცა გამოკითხულ სტუდენტებში ასეთი ხარჯიც არავის მიუთითებია. თუ არ ჩავთვლით ნულოვან ხარჯებს, ყველაზე მეტი ხმა, როგორც ჯგუფებში, ასევე საშუალოდ, თვეში 1-20 ლარის მაჩვენებელმა მიიღო. მაგალითად 31-დან 45 წლამდე ასაკის ჯგუფში აღნიშნული პასუხი 20,36%-მა შემოხაზა. ჯგუფებს შორის ეს ყველაზე დიდი პროცენტული წილია, ხოლო უმცირესი პროცენტული წილი ისევ და ისევ ასაკოვანი მოსახლეობის ჯგუფში დაფიქსირდა (6,95%).

მომსახურებაზე გაწეული ხარჯების გამოკვლევის მიზნით, შევეცადეთ გამოგვერკვია მოსახლეობის წლიური ხარჯი ტურიზმზე. როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მოცემული იყო ოთხი შესაძლო პასუხი და შემდეგი საშუალო შედეგები გამოვლინდა: 1. 0 ლარი - 91,50%; 2. 1-100 ლარი - 5,50%; 3. 100-1000 ლარი - 1,50%; 4. 1000 ლარზე მეტი - 1,50% (იხ. დანართი №7).

ლოგიკური იქნებოდა, რომ ტურიზმზე გაწეული დანახარჯების გაანალიზებისას დაახლოებით ისეთივე შედეგები მიგვეღო, როგორც წინა შეკითხვის შემთხვევაში და შედეგები მართლაც წააგავს ერთმანეთს. გამოკითხულთა აბსოლიტური უმეტესობა (91,50%) ტურიზმზე ვერაფერს ვერ ხარჯავს. გამოკითხულთა 1,50%-მა ტურიზმზე მაქსიმალური ხარჯი - წელიწადში 1000 ლარზე მეტი დააფიქსირა. როგორც ვხედავთ, საშუალო ფენა საქართველოში ნამდვილად არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ხვედრით წილს.

რაც შეეხება ცალკეულ ჯგუფებს, საინტერესო სიტუაცია დაფიქსირდა მასწავლებლებში. ამ ჯგუფის წარმომადგენლთა 98,21% ტურიზმზე არაფერს არ ხარჯავს, შესაბამისად, ამ ჯგუფში პასუხის მესამე და მეოთხე ვარიანტების მაჩვენებელი 0%-ია. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, გამოკითხულთა უფრო მეტმა ტურიზმზე ნულოვანი ხარჯი დააფიქსირა 31-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქეთა ჯგუფმა.

46 წელზე უფროსი ასაკოვრივი ჯგუფის რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა ტურიზმზე დანახარჯების არქონის ძირითად მიზეზად უსახსრობა დაასახელა

საშუალო მაჩვენებელზე ოდნავ ნაკლები იყო ასეთი 18-დან 30 წლამდე, 46 წელზე უფროს ხალხში და სტუდენტებში (შესაბამისად 84,72%; 89,98%; 80,39%). 1000 ლარზე მეტი ხარჯით ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებლი 18-დან 30 წლის ასაკამდე მოქალაქეთა ჯგუფში აღმოჩდა. ეს პასუხი გამოკითხულთა 2,77%-მა შემოხაზა. უფროსი ასაკის მოსახლეობაში მართალია მაქსიმალური ხარჯი არ დაფიქსირებულა, მაგრამ მეორე და მესამე პასუხის ვარიანტებმა მაინც მიიღეს 6,94% და 3,08%. 46 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა ტურიზმზე დანახარჯების არ ქონის ძირითად მიზეზად უსახსრობა დაასახელა. მოცემული პასუხების მეორე ვარიანტი სხვა ჯგუფებთან შედარებით პოპულარული აღმოჩნდა სტუდენტებში და გამოკითხულებიდან 15,68%-მა შემოხაზა. მთლიანობაში სიტუაცია გვიჩვენებს, რომ უმეტესობა იძულებულია ამ სიამოვნებაზე დანახარჯების გაწევაზე თავი შეიკავოს.

მომსახურებას ეხებოდა კითხვა, რომელიც მოსახლეობის მიერ დასვენებაზე ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს იკვლევდა. მოცემული პასუხების სამ ვარიანტზე საშუალო პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად განაწილდა: 1. 0 ლარი - 57%; 2. 1-30 ლარი - 26,50%; 3. 30 ლარზე მეტი - 16,50%. გამოკითხულებიდან ნახევარზე მეტმა (57%) დააფიქსირა, რომ დასვენებაზე ვერაფერს ხარჯავს (იხ. დანართი №8).

ჯგუფების მიხედვით სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია. საშუალო მაჩვენებელთან შედარებით გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა ნულოვანი ხარჯის მქონე რესპოდენტი 46 წელზე მეტი ასაკის გამოკითხულებში და მასწავლებლებში. აღნიშნულ ჯგუფებში პასუხის ეს ვარიანტი, შესაბამისად, 75%-მა და 82,16%-მა შემოხაზა. საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები აღმოჩნდა ასეთი ხალხი 18-დან 30 წლამდე ასაკის გამოკითხულებში (37,50%) და სტუდენტებში (35,29%). საშუალო მაჩვენებელთან ყველაზე უფრო მიახლოებული აღმოჩნდა 31-დან 45 წლამდე ასაკის ჯგუფის შედეგები და მათი პროცენტული მაჩვენებელი 59,26%-ს გაუტოლდა.

პასუხის მეორე ვარიანტი ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა 18-დან 30 წლამდე ასაკის, 31-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქეებში და სტუდენტებში. ამ ჯგუფებში მეორე პასუხზე, შესაბამისად, 33,34%; 31,48% და 31,37% მოდის. პასუხის ამ ვარიანტმა ყველაზე ცოტა ხმა გამოკითხულ მასწავლებლებში (14,29%) მიიღო.

პასუხის მესამე ვარიანტმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო სტუდენტებში და გამოკითხულთა 33,34% ერგო, სტუდენტების ჯგუფს ჩამორჩებოდა 18-დან 30 წლამდე ასაკის რესპოდენტთა შედეგები - 29,16%, ხოლო ყველაზე ცოტა ხმა მასწავლებლებში მიიღო და გამოკითხულთა 3,55% შეადგინა. მასწავლებლებზე ოდნავ მეტი მაჩვენებელი - 4,17%, 46 წელზე უფროსი მოსახლეობის რესპოდენტებზე განაწილდა.

ძალიან საინტერესო სფეროს გამოკვლევას ისახავდა მიზნად მეცხრე კითხვა: „რამდენს ხარჯავთ თვეში ისეთ მომსახურებაზე როგორიცაა

ახალი ცოდნის დაუფლება?“ ტრადიციულად, მოცემული იყო შესაძლო პასუხების ვარიანტები და მიღებულ იქნა შემდეგი საშუალო შედეგები: 1. 0 ლარი - 65%; 2. 0-60 ლარი - 26%; 3. 60 ლარზე მეტი - 9%. აქედან გამომდინარე, საშუალოდ გამოკითხულთა 65% ვერაფერს ვერ გაიღებს ახალი ცოდნის შეძენაზე, ხოლო დაახლოებით მეოთხედმა (26%) თვიური ხარჯი - 1-60 ლარი მიუთითა (იხ. დანართი №9).

ცალკეულ ჯგუფებში შემდეგი სიტუაცია დაფიქსირდა: საშუალო შედეგებთან შედარებით უფრო მეტი რესპოდენტი აღმოჩნდა ნულოვანი ხარჯით სამ ჯგუფში: მასწავლებლებში (78,63%), 31-დან 45 წლამდე ასაკის (66,61%) და 46 წელზე უფროს მოსახლეობაში (81,94%). ჯგუფებში ყველაზე მეტი ადამიანი ნულოვანი ხარჯით, როგორც ვხედავთ, 46 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში და მასწავლებლებში დაფიქსირდა, მაჩვენებლები ძლიერ აღემატება სხვა ჯგუფებისას.

პასუხის პირველ ვარიანტზე (0 ლარი) შედარებით ნაკლები მაჩვენებელია სტუდენტებისა და 18-დან 30 წლამდე ასაკის მოსახლეობის ჯგუფებში. შედეგები კი, შესაბამისად, შემდეგი იყო: 39,22% და 47,25%. ეს, თავისთავად, მეტყველებს იმაზე, რომ შედარებით ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა ოდნავ მეტს ხარჯავს განათლებაზე ვიდრე სხვები, თუმცა შედეგები მაინც არადამაკმაყოფილებელ სურათს წარმოაჩენს.

რაც შეეხება მაქსიმალურ ხარჯს (60 ლარზე მეტი თვეში), ერთადერთი, რომელშიც ასეთი პასუხი არ დაფიქსირებულა, 46 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეების ჯგუფი იყო. ასეთი დიდი ხარჯის მქონე რესპოდენტები საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა „ახალგაზრდულ“, სტუდენტებსა და 18-დან 30 წლამდე ასაკის ჯგუფებში, შესაბამისად, ეს პასუხი 19,60%-მა და 19,74%-მა შემოხაზა.

პასუხის მეორე ვარიანტმა (1-60 ლარი) ყველაზე მეტი ხმა მიიღო სტუდენტებში. ამ ჯგუფში მიღებული შედეგი - 41,18%, საშუალოზე გაცილებით მეტი იყო. საშუალოზე ნაკლები რაოდენობის ხმები მიიღო ამ პასუხმა ორ: მასწავლებლებისა და 46 წელზე უფროსი ასაკის ჯგუფებში, შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 17,86% და 18,06%.

კითხვარის ერთ-ერთი მიზანი იყო წლევანდელი მდგომარეობის შარშანდელთან შედარება. კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: „როგორ ფიქრობთ, წელს უფრო მეტს ხარჯავთ წინა წელთან შედარებით?“ მოცემული იყო მხოლოდ ორი პასუხი: „დიახ“ და „არა“. მიღებული პასუხების შემდეგ ასეთი სიტუაცია დაფიქსირდა: 77%-მა დადებითი, შესაბამისად, 23%-მა უარყოფითი ვარიანტი შემოხაზა (იხ. დანართი №10). როგორც ვხედავთ, მოსახლეობის 3/4-ზე მეტმა დაადასტურა, რომ მათი ხარჯი გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

მდგომარეობა ცალკეულ ჯგუფებში შემდეგია: საშუალო შედეგებს ზუსტად დაემთხვა მასწავლებლების ჯგუფის შედეგები, ანუ ხმების რაოდენობა აქაც 77 და 23 პროცენტად გაიყო. პირველ პასუხს ყველაზე მეტი ხმა ერგო სტუდენტებში და 18-დან 30 წლამდე ასაკის გამოკითხულებში და ჯგუფების შესაბამისად 90,20% და 89,09% მიიღო. საშუალოზე დაბალი რაოდენობის ხმები - 70,37%, მიიღო პირველმა ვარიანტმა 31-დან 45 წლამდე ასაკის გამოკითხულებში. საერთოდ კი, ამ შეკითხვის შემთხვევაში ჯგუფებს შორის დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა.

კითხვარის ბოლო, შემაჯამებელი კითხვა იყო: „რაზე ხარჯავს მოსახლეობა დღეს ძირითადად ფულს“, ხოლო მოცემული პასუხის სამი ვარიანტი (იხ. დანართი №11) და შესაბამისი საშუალო შედეგები შემდეგია:

1. ცხოვრების დონის ამაღლებაზე - 2,50%;
2. ცხოვრების დონის შენარჩუნებაზე - 8,50%;
3. არსებობაზე - 89%.

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ პასუხის მესამე ვარიანტი შემოხაზა. ჯგუფების მიხედვით საინტერესო სიტუაცია დაფიქსირდა: პასუხის პირველ ვარიანტზე ისეთ სამ ჯგუფში, როგორიცაა მასწავლებლები, 31-დან 45 წლამდე და 46 წელზე უფროსი მოქალაქეები, ხმების 0% მოდის, სამაგიეროდ სტუდენტებში ამ ვარიანტმა საშუალოზე გაცილებით მეტი - 9,80% მიიღო.

რაც შეეხება პასუხის მეორე ვარიანტს, იგი შედარებით უფრო პოპულარული აღმჩნდა ორ ჯგუფში — სტუდენტებსა და 18-დან 30 წლამდე ასაკის რესპოდენტებში (შესაბამისად, 13,73% და 15,28%). ყველაზე არაპოპულარული პასუხის ეს ვარიანტი მასწავლებლებში იყო. მისი პროცენტული მაჩვენებელი 1,78% შეადგინა.

მესამე პასუხმა ყველაზე მეტი ხმა მიიღო მასწავლებლებში (22%), 31-დან 45 წლამდე (92,59%) და 46 წელზე უფროს მოქალაქეებში (94,51%). შედარებით ცოტა ხმა მიიღო ამ ვარიანტმა ახალგაზრდა გამოკითხულებში: სტუდენტებში - 76,47% და 18-დან 30 წლამდე - 77,78%. გამოკითხული მოსახლეობის ყველა ჯგუფში ხმების უმეტესობა პასუხის მესამე ვარიანტმა მიიღო. რესპოდენტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობა გადასულია არსებობაზე (და ამასაც ძლივს ახერხებს).

გამოკითხვის შედეგებს გაცნობის შემდეგ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა მოსახლეობის წინა წლების ხარჯების სტრუქტურა განგვეხილა. როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, მოსახლეობა საქართველოში 1997-98 წლებშიც შემოსავლების ნახევარზე მეტს სურსათის შეძენაზე ხარჯავდა, კერძოდ, 1997 წელს ხარჯების 53,5%, ხოლო 1998 წელს - 54,9% მიდიოდა (იხ.

დანართი №12). ამავე მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 98 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა ხარჯები ტანსაცმელზე და 5,9%-ის ნაცვლად 6,6% შეადგინა.

საკმაოდ ეფექტური იქნება აგრეთვე, თუ მოსახლეობა გრძელვადიანი მოხმარების საქონლის შეძენისას სამომხმარებლო კრედიტებს ხშირად გამოიყენებს.

რაც შეეხება ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების პროცენტულ წილს, იგი, პირიქით, 7,7%-დან 7%-მდე შემცირდა. როგორც ვხედავთ, უკანასკნელ წლებში საქართველოში ხარჯების დიდი ნაწილი სურსათზე იხარჯებოდა. ფაქტიურად, ქვეყანაში კვების მრეწველობის განვითარების ყველა წინაპირობა არსებობს. აღნიშნულ პროცესს მხოლოდ და მხოლოდ იაფფასიანი იმპორტული პროდუქციის არსებობა უშლის ხელს.

მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასა და სიღარიბის შემცირებას (ანუ სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას) დიდად შეუწყობდა ხელს განვადებით ვაჭრობის სფეროს განვითარება. საკმაოდ ეფექტური იქნება, აგრეთვე, თუ მოსახლეობა გრძელვადიანი მოხმარების საქონლის შეძენისას სამომხმარებლო კრედიტებს ხშირად გამოიყენებს. ამ უკანასკნელ მოსაზრებას სტატიაში განხილული გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს.

დანართი №1



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მასწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №2



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მასწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №3



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №4



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №5



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახსოვლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №6



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახსოვლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №7



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №8



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მახწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №9



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მასწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №10



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მასწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №11



18-დან 30 წლამდე



31-დან 45 წლამდე



46-დან 80 წლამდე



მასწავლებლები



სტუდენტები



საშუალო

დანართი №12

1997 წელი



1998 წელი



[illegible]

ალექსანდრე წერეთელი

XX საუკუნე, განსაკუთრებით მისი ბოლო ათწლეული, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით, ღირებულებათა გადაფასებით, პარადიგმების პოლარული შეცვლით ხასიათდება, რამაც თავი იჩინა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლით, ახალი სუვერენული სახელმწიფოების დაფუძნებით და მსოფლიო ისტორიაში უპრეცენდენტო გარდამავალი პეროდის გავლის ობიექტური აუცილებლობით.

საქართველოს მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ახალი ტიპის გარდამავალი ეკონომიკა (transitional economy of a new type), რომელ საფეხურზეც დღეს იმყოფება ჩვენი ქვეყანა და რომლის შინაარსია უნიტარული, ცენტრალიზებულად კონტროლირებადი გეგმიანი ეკონომიკური სისტემიდან ახალ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა, მართლაც რომ მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვა ურთულესი გარდაქმნებით ხასიათდება. ამ გარემოებებმა ახლო მომავალში უნდა შექმნან მწვავე კრიზისში მყოფი ქვეყნის, ანუ საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და დინამიკური განვითარების პირობები.

ამ ზოგად შეფასებებს ქვეყანაში ბოლო ათწლეულში მომხდარ კატაკლიზმებსაც (სამოქალაქო ომების და მასობრივი ნგრევის, თავსმოხვეული ე.წ. „ეთნოკომფლიქტების" სახით) თუ დავუმატებთ, უთუოდ ნათელი გახდება საქართველოს ეკონომიკის და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციის პრობლემათა გადაჭრის სირთულენი.

საერთაშორისო ეკონომიკის პროფესორი ლინვუდ ტ. გაიგერი აღნიშნავს - „ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, ამ ტრანსფორმაციისას იმ საოცარ ცვლილებებს, რომლებმაც წარმოშვა მრავალი ურთულესი, ახალი სახელმწიფო, ინსტიტუციური და ეკონომიკური პრობლემა."[1] ცხადია, ეს შეფასება უშუალოდ უკავშირდება იმ რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც 1989-2001 წ.წ. „ახალი ტიპის გარდამავალ პერიოდში" საქართველოში ხორციელდება.

პრივატიზების ზოგიერთი შედეგი

საქართველოში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი ღერძული მიმართულებაა საწარმოთა განსახელმწიფოებრიობა და ქონების პრივატიზება. პოსტსოციალისტურ საქართველოში, რომელიც 90-იანი წლებიდან დაადგა სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის შენების, ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნის გზას, სადაც რეალურად მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების შეუქცევადი პროცესები, საწარმოთა განსახელმწიფოებრიობა და ქონების პრივატიზება გარდუვალია.

საკუთრების განსახელმწიფოებრიობა არის სახელმწიფო საწარმოთა სხვა არასახელმწიფო საკუთრების ფორმებზე დაფუძნებულ საწარმოებად გარდაქმნა; პრივატიზება კი სააქციო საზოგადოების (ამხანაგობის), საწარმოთა მთელი აქციების, ან მისი ნაწილის მოქალაქეთა ან მათი გაერთიანებების საკუთრებაში გადასვლის პროცესია.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ პრივატიზება უწინარესად პოლიტიკური პროცესია ეკონომიკური შედეგებით. პრივატიზება წარმატებით განახორციელეს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც დაძლიეს „პოლიტიკური სიძნელეები", - წერს ერთ-ერთი უცხოელი ავტორი როლანდ ატი, რომელსაც შეუძლებელია არ დაეთანხმო.

საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში სახელმწიფო ქონების პრივატიზება რეალურად 1993 წლის მარტში დაიწყო, რასაც წინ უსწრებდა 1991 წლის 9 აგვისტოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების კანონის მიღება და 1992 წლის 18 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება.

აღნიშნული პროგრამა, ითვალისწინებდა რა პრივატიზების კანონის მოთხოვნებს, მიზნად ისახავდა:

- საკუთრების სხვა ფორმად - სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნას, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საწარმოთა ქონების (ფასიანი ქაღალდების) შეძენას და ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მთლიანად შეცვლას;
- მეურნეობის ძირითად დარგებში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების დამკვიდრებას, კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებას, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას;
- მცირე ბიზნესის განვითარებას და მთლიანად ეკონომიკის რეაბილიტაციას, გაჭიანურებული კრიზისიდან მის გამოყვანას, პროდუქციის და მომსახურების ხარისხის ამაღლებას;
- არარენტაბელური საწარმოების დიდი ნაწილის პრივატიზებით სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიებისაგან განთავისუფლებას;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და სხვა.

ამ პროგრამის მიხედვით ქონების განსახელმწიფოებრიობის პროცესი მიმდინარეობდა ორ ეტაპად: 1. მცირე პრივატიზება, რომელიც ძირითადად 1993-96 წლებში განხორციელდა და მოიცავდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების წვრილ საწარმოებს, აგრეთვე დაბალრენტაბელურ და ზარალიან ობიექტებს; 2. მსხვილმასშტაბიანი პრივატიზება, რომელიც დაიწყო 1996 წლიდან და დღესაც გრძელდება. ამ ეტაპზე საშუალო და მსხვილ საწარმოთა პრივატიზება, ძირითადად, მათი აქციონირების გზით მოხდა.

პრივატიზება ითვალისწინებს ქონების განსხვისებას: აუქციონის, კონკურსის, პირდაპირი მიყიდვის, იჯარა-გამოსყიდვის, საწარმოს სააქციო საზოგადოებად (ს/ს) გარდაქმნის და სხვ. ფორმით.

ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების პროცესები რთულად წარიმართა. ობიექტურია იმის აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის ცხოვრებაში წარმოშობილი მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემის ერთდროულად და ერთმანეთის პარალერულად გადაჭრა ძალიან რთულია და იგი ნებისმიერ ქვეყანას გაუჭირდება. ეს სირთულეები საქართველოში, როგორც ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყანაში, აფერხებდა ეკონომიკურ რეფორმებს, კერძოდ, ქონების პრივატიზების პროცესს. მიუხედავად ამისა მან ფართო მასშტაბები შეიძინა (ცხრილი №1).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში 2001 წლის იანვრისათვის პრივატიზებული ობიექტების საერთო რიცხვიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წონა მოდის ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე, რაც შესაბამისად უდრის 34% და 44,5%, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, მრეწველობაზე (19,6%).

მასობრივი, ანუ საშუალო და მსხვილ საწარმოთა პრივატიზება, როგორც ჩანს, ჩვენთანაც და სხვა ქვეყნებშიც (მაგ. რუსეთში) საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს, რამეთუ აღნიშნული პროცესის ბედი მეტწილად დამოკიდებულია შეძლებულ ინვესტორებზე და აქციონერებზე.

2001 წლის იანვრისათვის სულ აქციონირებულია 1312 საშუალო და მსხვილი საწარმო, ანუ სააქციო საზოგადოებად გარდასაქმნელ ობიექტთა 98,4% (ცხრილი №2).

ცხრილიდან ჩანს, რომ რაოდენობის მიხედვით, სააქციო საზოგადოებების მეტი ნაწილი შექმნილია სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში, მშენებლობასა და არქიტექტურის სფეროში, აგრეთვე მრეწველობაში. სააქციო საზოგადოებაში აქციების პრივატიზების დონის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოქალაქეებზე გაყიდული აქციების ხვედრითი წონა.

ეკონომიკური სტაგნაციის წლებმა (1993-95წ.წ.) გარკვეული კვლი დააჩნია სახელმწიფო საკუთრების მიზანმიმართული ტრანსფორმაციის პროცესს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მრეწველობა. მართალია, ინდუსტრიის მთელ რიგ დარგებში საწარმოთა განსახელმწიფოებრიობის, აქციონირება-პრივატიზების პროცესი წინ მიიწევს და ღრმავდება, მაგრამ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ქონების დიდი ნაწილი, მეტწილად კი მსხვილი საწარმოების აქციები, დღესაც შეუსყიდავია.

ფულადი აუქციონები: 1998 წლის იანვრისათვის სახელმწიფოს ხელთ იყო 269 ს/ს-ის აქციების 50%-ზე მეტი. საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ თავისი (ანუ სახელმწიფო) აქციები გასაყიდად გაიტანა ფულად აუქციონებზე საწყისი სასტარტო ფასით, რაც პირველადი ნომინალური ღირებულების 150%-ს შეადგენდა. ექსპერტების შეფასებით, ეს ფასი გაუმართლებლად მაღალია, რაც ფულადი აუქციონების შედეგებმაც დაადასტურა. პირველ 16 აუქციონზე გატანილი 138975947 აქციებიდან 862744 აქცია გაიყიდა, რაც მხოლოდ 0,6%-ს შეადგენს[2]. ეს იმას ნიშნავს, რომ აქციათა გაყიდვა მინიმალური იყო.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონი პრივატიზების შესახებ, სხვა მიზნებთან ერთად, ამ ვითარების გამოსწორებასაც ითვალისწინებდა. საწარმოთა აქციების ფასი, რომლებიც ზედიზედ ორ აუქციონზე არ გაიყიდება, 50%-ით მცირდება და ფასდაკლება საწარმოს გაყიდვამდე გრძელდება.

სახელმწიფოს აქციების განსაკარგავად და პრივატიზების ტემპის დასაჩქარებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა 1997-98წ.წ. კერძოდ, გაიმართა სპეციალიზებული ფულადი აუქციონები, სადაც აქციები ნულოვანი საწყისი ფასით გაიყიდა. 1997 წლის ივნის-სექტემბერში

1. ლინვუდ ტ. გაიგერი, Макрозкономическая теория и переходная экономика მოსკოვი, 1996, გვ. 378.

2. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები, მეორე კვარტალი, 1997, თბ., გვ. 58.

გამართულ აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 265 ს/ს-ის 63912433 აქცია, საიდანაც 63907895, ანუ აქციათა 99% გაიყიდა, ხოლო მათი ნომინალური ღირებულება 86909766 აშშ დოლარი იყო. აქციების შესაძენად გადახდილმა თანხამ შეადგინა 5439403 ლარი. აუქციონში მონაწილე ყველა 265 ს/ს-ის აქციები გაიყიდა. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მესაკუთრემ თავის თავზე აიღო ს/ს-ების დავალიანებათა - 30 მლნ. ლარის გადახდა.[3] ასეთივე წარმატებით ჩატარდა 1998 წლის თებერვალ-აპრილში სპეციალიზებული ფულადი აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით.[4]

ნებისმიერი ღონისძიების ეფექტიანობის დონე მისი შედეგებით იზომება. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის ინფორმაციით, პრივატიზებულ საწარმოთა 67-70% უკეთ მუშაობდა, ვიდრე პრივატიზებამდე. ამ მხრივ, მათი პროგნოზიც საიმედოა. ვფიქრობთ, მოცემული საკითხი უფრო მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგები, რომელიც პრივატიზებამდე და მის შემდეგ 306 ს/ს-ის მუშაობას აღწერს, წარმოდგენილია ცხრილში №3.

ცხრილიდან ჩანს რომ, აქციონირებულ-პრივატიზებულმა საწარმოებმა 1996 წელს წინა 3 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზარდეს წარმოების მოცულობა და მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება (მომუშავეთა რიცხვის შემცირების ხარჯზე), გაადიდეს აგრეთვე საშუალო ხელფასიც, მაგრამ გააუარესეს (შეამცირეს) ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი - მოგება, აგრეთვე ბიუჯეტში ჩარიცხული თანხა.

სხვა საანალიზო მონაცემების (პროდუქციის თვითღირებულების, რეალიზებული პროდუქციის, ფასების და სხვა) დეფიციტის გამო უტყუარი დასკვნის გაკეთება ძნელია, მაგრამ, ჩვენი აზრით, წინა წელთან შედარებით, 1996 წლის წარმოებული პროდუქციის ზრდა გამოწვეული იყო არა მარტო საწარმოთა (ს/ს-ების) კარგი მუშაობით, არამედ პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების და საცალო ფასების ზრდის ფაქტორის გავლენით.

აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ცალსახა აქციონირება-პრივატიზება შესაბამისი მუშაობის პირობებისა და ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე, სამრეწველო საწარმოთა რეგენერაციის პრობლემას ვერ გადაჭრის. ამიტომაა, რომ პრივატიზების ახალი კანონი და პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმა მსხვილი ს/ს-ების რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციას, ლიკვიდაციას და მათი აქტივების პრივატიზებას ითვალისწინებს.

პრივატიზების პროცესი 1997 წელს ახალ ფაზაში შევიდა. ცნობილია, რომ საქართველოსთვის სარეგენერიტაციო კრედიტის გამოყოფის ერთ-ერთი პირობა იყო მსხვილი საწარმოების შერჩევა ეტაპობრივი პრივატიზების განსახორციელებლად, რაც საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით ხორციელდება. იგი ითვალისწინებს მსხვილ საწარმოთა აქციების ძირითადი პაკეტის გაყიდვას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში: მარტო 1997 წელს გამართული ტენდერებით მოზიდული ინვესტიციების მთლიანმა თანხამ 100 მლნ. აშშ დოლარზე მეტი შეადგინა.

პრივატიზების პროცესი 1997 წელს ახალ ფაზაში შევიდა. ცნობილია, რომ საქართველოსთვის სარეგენერიტაციო კრედიტის გამოყოფის ერთ-ერთი პირობა იყო მსხვილი საწარმოების შერჩევა ეტაპობრივი პრივატიზების განსახორციელებლად, რაც საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით ხორციელდება.

საინტერესოა, რომ 1998 წ. უცხოური კაპიტალი დაბანდებული იყო ჩვენი ქვეყნის 55 საწარმოში, მათ შორისაა ნავთობპროდუქტების, ჩაისა და პურის მწარმოებელი საწარმოები, სასტუმროები და სხვა.

1993-97 წლებში ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში საწარმოთა განსახელმწიფოებრიობისა და ქონების პრივატიზების პროცესები ძირითადად 90-იანი წლების დასაწყისში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით წარიმართა. ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის გაღრმავებამ წარმოშვა ახალი კანონების მიღების, არსებული კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების განახლების აუცილებლობა.

1997 წლის 30 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ." ამასთან, 1997 წლის 28 დეკემბერს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა „ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების ერთიან გეგმას 1998-2000 წლებში."

ახალი „კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" ემყარება ჩვენს და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პრივატიზების განხორციელების გზაზე შეძენილ პრაქტიკულ გამოცდილებას. კანონში არსებითად გაფართოებულია პრივატიზების ფორმები, არაპრივატიზებული საწარმოებისათვის გამონახულია ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის მოზიდვის წყაროები. აღნიშნული კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში მომზადდა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, დებულებები და სხვა მასალები. ამ მასალებიდან ძალზე მნიშვნელოვანია დებულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ."

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" ახალი კანონის საფუძველზე შემუშავებული ერთიანი გეგმა-პროგრამით ნოვატორულად განისაზღვრა პრივატიზების განხორციელების მიზნები და ამოცანები 1998-2000 წლებში.

ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის მიზნებია:

- პრივატიზების პროცესში მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბების დაჩქარება;
- ეკონომიკის მართვის საქმეში სახელმწიფოს ფუნქციების დასახვეწად ინსტიტუციური ცვლილებებისათვის კონსტრუქციული ხელშეწყობა და ახალ მმართველობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში შემოსავლების ზრდა;
- პოსტპრივატიზების პერიოდში მესაკუთრეთა და ახალბედა მეწარმეთა მიერ პრივატიზებული საწარმოების დროული და ეფექტური ამოქმედების ხელშეწყობა;
- პრივატიზების პროცესში საწარმოებში ინვესტიციების მოზიდვა;
- სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესების სისტემატიზაცია, სრულყოფა და ა.შ.

დღეს ქონების დიდი ნაწილის მფლობელებია: სახელმწიფო და მოქალაქეთა შეკრებული ფონდები, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები (ყოფილ სოციალისტურ საწარმოთა დირექტორები, ბიზნესმენები).

ამ გეგმა-პროგრამაში მოცემულია პრივატიზების პროცესის შემდგომი განხორციელების ძირითადი მიმართულებები ქვეყნის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით.

სტრუქტურული ცვლილებები

1993-2000 წლებში ეროვნულ მეურნეობაში პრივატიზების მასშტაბების ზრდამ გავლენა იქონია საკუთრების ფორმების თანაფარდობაზე. ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად არასახელმწიფო სექტორი (დღგ-ის, აქციზების, იმპორტის გადასახადების გარეშე) აწარმოებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 70%-ზე მეტს. მშენებლობის გარდა, ეკონომიკის სხვა სექტორებში დომინირებს კერძო სექტორი.

ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლამ, ზოგიერთი პრიორიტეტული დარგისა და სფეროს განვითარების შედარებით სწრაფმა ტემპმა და სხვა ფაქტორებმა ეკონომიკის დარგობივი სტრუქტურის არსებითი ცვლილებები გამოიწვია (ცხრილი №4).

ცხრილიდან ჩანს მთლიან შიდა პროდუქტში არამატერიალური წარმოების სფეროს დარგების ხვედრითი წონის ზრდისა და მატერიალური წარმოების დარგების ხვედრითი წონის შემცირების ტენდენცია. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში ბაზისური დარგების: მრეწველობისა და მშენებლობის - მცირე, ხოლო სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის - მაღალი ხვედრითი წონა.

პრივატიზების საკითხებზე მუშაობამ, სხვადასხვა საინფორმაციო მასალების გაცნობამ დაგვანახა რომ, ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია მსხვილ საწარმოთა აქციონირების საქმეში არსებული პრობლემების მეცნიერული შესწავლა, რამეთუ მცირე პრივატიზების სფეროში მიღწეული ერთგვარი წარმატებების მიუხედავად პრივატიზების საბოლოო შედეგების, ანუ მისი შუქჩრდილების პირუთვნელი შეფასება მთლიანობაში შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ საწარმოთა პრივატიზების გათვალისწინებით.

პრობლემურია აგრეთვე აქციონირებაში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობისა და სააქციო საზოგადოებათა კორპორაციული მმართველობის საკითხები. მასობრივმა აქციონირებამ, მოსახლეობისათვის ვაუჩერების განაწილებამ თითქოსდა ხელი შეუწყო აქციონერთა ფენის ჩამოყალიბებას, მაგრამ ქვეყანაში ამ პროცესმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, ჯერ ვერ შეიძინა საჭირო მასშტაბები: ჯერ ერთი, ქვეყანაში დასრულებული სახით არ ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მეორე, ს/ს-ებისა და საინვესტიციო ფონდების მესვეურებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ გააჩნიათ მათი კომპეტენტური მართვის, ხოლო მოსახლეობას - კორპორაციულ მმართველობაში მონაწილეობის ტრადიციები და გამოცდილება; გასაგები მიზეზების გამო, გარდამავალ ეტაპზე, ძალზე დაბალია საწარმოთა საინვესტიციო მიმზიდველობაც.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრობა-პრივატიზების ზემოთ მინიშნებულმა მასშტაბებმა, აგრეთვე ვაუჩერულმა პრივატიზებამ, როგორც ქვეყანაში, ისე დედაქალაქში, შესაბამისი გავლენა იქონია მოსახლეობის ქონე-

3. გაზ. „მესაკუთრე", 1997 წლის 12 სექტემბერი.
4. გაზ. „მესაკუთრე", 1998 წ. 1 მაისი.

ბრივი ცენზის შეცვლაზე, გამოიწვია რა ამ უკანასკნელის დიფერენციაცია. დღეს ქონების დიდი ნაწილის მფლობელებია: სახელმწიფო და მოქალაქეთა შეძლებული ფენები, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები (ყოფილ სოციალისტურ საწარმოთა დირექტორები, ბიზნესმენები). ვაუჩერული პრივატიზების შედეგად მოქალაქეთა უმრავლესობას სახელმწიფო ქონების მხოლოდ მცირე ნაწილი ერგო. ბევრმა უკიდურესი გაჭირვების გამო ჩალის ფასად გაყიდა ვაუჩერები და გადაინაცვლეს ღარიბთა ფენაში. მოქალაქეთა ნაწილმა კი საკუთარი მცირე რაოდენობის "ვაუჩერები განათავსა „საინვესტიციო ფონდებში" და სხვადასხვა საწარმოებში განთავსებული აქციებიდან დღესაც ელოდებიან თავიანთ ანგარიშზე საკუთარი წილის ჩარიცხვას. საწარმოთა უმრავლესობის არასრული დატვირთვისა და არარენტაბელური მუშაობის გამო, ისინი სრულად ვერ რიცხავენ თანხებს ხსენებული ფონდების, ანუ სააქციო საზოგადოებათა ანგარიშებზე, ხოლო აქციონერებისათვის დივიდენდების განაწილებაზე საუბარიც კი ზედმეტია. მოსახლეობისათვის დარიგებული საპრივატიზებო ბარათების (ვაუჩერების) ინვესტიციებში განთავსება და მისი მოსალოდნელი რეზულტატი მწვავე სოციალური საკითხია და ათასობით ადამიანის ინტერესებს უკავშირდება.

ჩვენ დავინტერესდით ერთ-ერთი საინვესტიციო ფონდის, ამჟამად ს/ს-ად წოდებული „მთავარინვესტის" საქმიანობით. საქმე შეეხება ს/საზოგადოებების ფუნქციონირების ეფექტიანობის დონის შესწავლა-შეფასებას, რამაც შემდეგი სურათი გვიჩვენა:

ს/ს „მთავარინვესტი" დაფუძნდა 1994 წლის 19 ივლისს. მისი დამფუძნებელია 36 იურიდიული და ფიზიკური პირი. დამფუძნებელთა ფულადი შენატანები 29 ათას დოლარს შეადგენს. აღნიშნული ს/ს 1998წ. აერთიანებდა 2130 აქციონერს და ფულადი კაპიტალის სახით ფლობდა 469,7 ათას ლარს. ამ თანხის 71,1% მოდის ვაუჩერებზე, რომლებიც მოიზიდა მოსახლეობიდან 11136 ცალის რაოდენობით. აღნიშნული ფულადი კაპიტალი აქციების სახით დაბანდებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ 25 ს/ს თუ საწარმოში.

საინვესტიციო სახსრების უკუგება განიხილვრება ინვესტირებულ საწარმოთა მოგების გასანაწილებელი თანხის ს/ს „მთავარინვესტისათვის" გადარიცხული დივიდენდებით. 25 სააქციო საწარმოდან, რომლებთანაც საინვესტიციო ფონდს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები, 1995 წელს მხოლოდ ერთმა საწარმომ - „სპაგეტი 94"-მა გადარიცხა „მთავარინვესტის" ანგარიშზე 171 ლარი, ხოლო 1996 წელს ფოთის წისქვილკომბინატმა - 5273 ლარი და 1997 წელს ხუთმა საწარმომ სულ გადარიცხა 23350 ლარი. დანარჩენი 20 საწარმო თანხებს ვერ რიცხავს, ვინაიდან არ ფუნქციონირებენ და გადახდისუუნარონი არიან (ცხრილი №5).

საწარმოდან დივიდენდების მიღების აუცილებელ პირობად „მთავარინვესტის" მესვეურებს მათი დროული მუშაობის დაწყება და მოგების რეჟიმზე გადასვლა მიაჩნიათ. შექმნილ არასახარბიელო ვითარებას დღეს არავინ არ აკონტროლებს. დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობაშია დანარჩენი 5 საინვესტიციო ფონდი, რომლებიც „მთავარინვესტთან" ერთად ფუნქციონირებს საქართველოში.

ს/ს „მთავარინვესტის" მესვეურთა ვარაუდით აქციონერებზე დივიდენდები შეიძლება განაწილდეს 2000 წლის შემდეგ ინვესტირებულ საწარმოთა ამუშავების, მოგების რეჟიმზე მათი გადასვლისა და „მთავარინვესტის" ანგარიშზე მისი კუთვნილი თანხების გადმორიცხვის შედეგად.

საანალიზო წლებში ტრანსფორმაციული პროცესების შესახებ არსებული მონაცემების მიხედვით ქვეყნის ეკონომიკის ზრდა განსაკუთრებით ბილო სამ წელიწადში არასტაბილური იყო (ცხრილი №6). მიუხედავად ამისა, 1996-2000 წლებში დარგთაშორისი პროპორციები მნიშვნელოვნად შეიცვალა (ცხრილი №4).

გარდამავალი პერიოდის საწარმოო ძალები

ბოლო ათწლეულში (განსაკუთრებით ახლი სუვერენული ქვეყნის აღმშენებლობის საწყის ეტაპზე) სოციალისტური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებულმა ქვეყნის საწარმოო ძალებმა უდიდესი დარტყმა და ნგრევა განიცადა ყოფილ სსრ კავშირში წლების მანძილზე რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევის შედეგად. ეს გამოვლინდა ქვეყნის სრული იზოლაციით, ურესურსოდ და უფუნქციოდ დარჩენით, აგრეთვე მატერიალური წარმოების სხვა დარგების - მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის განახევრებით. ამ მტკივნეულმა პროცესებმა დაარღვია ქვეყნის საწარმოო ძალების მთლიანობა, გათიშა მისი ელემენტები ანუ სამუშაო ძალა და წარმოების საშუალებები. სახელმწიფო დაკვეთების შეწყვეტის გამო დაფიქსირდა გამჭოლი პროფესიის ათასობით მუშათა კადრების განთესვა, რამაც საბოლოო ანგარიშით თავი იჩინა მასობრივი უმუშევრობით.

აღნიშნული გათიშვის პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა ეკონომიკური რეფორმის - საწარმოთა განსახელმწიფოებრივების, რესტრუქტურიზაცია-პრივატიზების, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაციის, ანუ ქვეყნის შიგნით მუშაობის გარემო-ეკონომიკური პირობების პოლარული შეცვლის, სამრეწველო წარმოების იზოლაციის და ნორმალური ფუნქციონირების დარღვევის შედეგად. განვლილ პერიოდში ჯაჭვური რეაქციის ძალით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციამ გამოიწვია მასობრივი სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობა, ახალი სამუშაოს ძებნის ხანგრძლივ პერიოდში კვალიფიკური მუშათა კადრების

დისკვალიფიკაცია და დაქსაქსვა. ქვეყნის შიგნით არსებულმა ათეულობით პროფესიულმა სასწავლებელმა შეწყვიტა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება-გადამზადება და სხვა.

რაც შეეხება წარმოების საშუალებებს - შრომის იარაღებსა და შრომის სხვა საშუალებებს, სახალხო მეურნეობის ძირითად წარმოებრივ ფონდებს, მისი დიდი ნაწილი დღეს ფიზიკურად, მორალურად დაძველებული და გაცვეთილია და ტექნოგენური ავარიის საფრთხეს შეიცავს. არა ერთი უპერსპექტივო საწარმო ლიკვიდირებულია, მრავალი მათგანი კი, ტექნიკური ბაზის განახლებას, ახალი ტექნიკისა და პროგრესული პროცესების დანერგვას, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების ათვისებას და გამოშვებას მოითხოვს. ასობით სამრეწველო საწარმო სიმძლავრეების უმნიშვნელო დატვირთვით მუშობს, ხოლო პრივატიზებულ და აქციონირებულ საწარმოთა დიდი ნაწილი საერთოდ არ მუშაობს. მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები სახელმწიფოს მხრიდან არაჯეროვანი ხელშეწყობის, ეროვნული წარმოებისადმი უყურადღებობის, იმპორტული და კონტრაბანდული, ფალსიფიცირებული ნაწარმის მოზღვავების გამო, მუშაობშის პროცესში დიდ სიძნელეებს აწყდებიან, არადა მათ წარმატებით განვითარებაზეა დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიზიცია და ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირება.



ქვეყნის მწვავე ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიზანშეწონილია გარდამავალ პერიოდში ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგის, მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის, მოდერნიზებისა და რეაბილიტაციის საკითხების გაშუქება საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნის პრიორიტეტები

1993-2000 წლებში ქვეყნის მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობის ტრანსფორმაციის გზაზე წარმოჩენილი სისტემური პრობლემებიდან უწინარესად უნდა დავასახელოთ: სოციალისტურიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, ანუ ეკონომიკური სისტემის შეცვლის პრობლემა; აგრეთვე შინაპოლიტიკური ვითარება და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, თავისი შედეგებით; ქვეყნის სტრატეგიული გეზის, მტკიცე და ნათელი ეკონომიკური და სამრეწველო პოლიტიკის უქონლობა; სახელმწიფო საწარმოთა დემონოპოლიზაციის, რესტრუქტურირების, განკერძოება-პრივატიზების ძველი ყაიდის საწარმოთა ხელმძღვანელების კონსერვატული აზროვნების დაძლევის, ბიზნესისა და მენეჯმენტის თეორიით შეიარაღებული ხელმძღვანელი კადრების მომზადების; საჭირო ინვესტიციების გარედან მოზიდვის; ქვეყნის შინა ბაზრის მოჭარბებული იმპორტული საქონლით ექსპანსიის; მრეწველობის პრიორიტეტის იგნორირების; მოსახლეობის ღარიბი ფენების გადახდის უნარიანობის უკიდურესად დაბალი დონის დაძლევის და სხვა პრობლემები.

აღნიშნული პრობლემების მიზანმიმართული გადაჭრა მნიშვნელოვნად დააჩქარებდა მეურნეობის დარგთა სისტემაში მრეწველობის, როგორც წამყვანი დარგის დაფუძნებას, მის რეაბილიტაციას, მოდერნიზებას და შემდგომ განვითარებას, მრეწველობის პროდუქციაზე ქვეყნისა და ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამჟამად, საქართველოს მრეწველობა მწვავე სტრუქტურულ კრიზისს განიცდის. ხუთ წელზე მეტია ქვეყანაში მიმდინარეობს სამრეწველო კომპლექსის ტრანსფორმაციის პროცესი, მაგრამ ამ მიმართულებით ხელშესახები რეზულტატი არა ჩანს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის განვლილ წლებში ვაჭრობის გამოცოცხლებამ მართალია გარკვეული როლი შეასრულა ქვეყნის ცხოვრებაში, მაგრამ ეკონომიკის დარგთა სისტემაში ვაჭრობის პრიორიტეტული მდგომარეობა და მრეწველობის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა არ შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, რამეთუ არ არსებობს განვითარებული ქვეყანა მრეწველობის გარეშე.

ცნობილია, რომ ვაჭრობასთან შედარებით მრეწველობა დიდძალ ინვესტიციებს მოითხოვს, რომლის უკუგების ვადაც დიდია, მაგრამ მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკის სექტორებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება აუცილებელია. აღნიშულის თანახმად, მართვისა და რეგულირების მექანიზმების დახმარებით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მაკრო და მიკრო, მატერიალურ და არამატერიალურ სფეროებს შორის წარმოქმნილი დისპროპორციების მოხსნა და ინვესტირების საჭირო რაოდენობით განთავსება პრიორიტეტულ დარგებში, მათ შორის თვით მრეწველობაში.

ამჟამად ქვეყნის მარტო საგარეო ვალი მშპ-ის 60%-ს შეადგენს. ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე ეს ციფრი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. აქედან ჩნდება კითხვა: რა წყაროებიდან შეძლებს რეფორმებში ჩართული

და სოლიდური კრედიტების მქონე სახელმწიფო საჭირო საქონელზე ქვეყნისა და ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, სოციალური პროგრამების დაფინანსებას, ერთდროულად უცხოური ვალების გასტუმრებას და საპროცენტო განაკვეთების დაფარვას მრეწველობის (რაზედაც მიბმულია ეკონომიკის სხვა დარგები) რეაბილიტაციის გარეშე.

დამოუკიდებელი აღმშენებლობის გზაზე მყოფ ჩვენს ქვეყანას დღეს ნამდვილად ჭირდება განვითარებული, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტის შესაბამისი კონკურენტუნარიანი სამრეწველო კომპლექსი - მრეწველობა. ცნობილია, რომ ეკონომიკის დარგთა სისტემაში მრეწველობა ერთ-ერთი წამყვანი ბაზისური დარგი, თავისებური ლოკომოტივია, რომელზედაც მიბმულია სხვა დარგები და რომლის წინსვლა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ დარგების განვითარების დონეს მათი წარმოების საშუალებებით აღჭურვის გზით. მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ცნობილი მოვლენების (ნგრევისა და სახელმწიფო საწარმოთა ქონების განიავების) შედეგად ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი თითქმის განახევრებულია (ამას გარკვეულწილად მრეწველობის რეფორმირებამაც შეუწყო ხელი). სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი და პრივატიზებულ-აქციონირებული საშუალო და მსხვილი სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა გაჩერებულია ან მცირე დატვირთვით მუშაობს, საწარმოთა შენობა-ნაგებობანი, აგრეთვე ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილი გაცვეთილია. უმოქმედობის, შემოსავლებისა და ინვესტიციების უქონლობის გამო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობის, აგრეთვე უსახური შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები ვერ ხორციელდება, საბოლოო ანგარიშით პრივატიზების მეორე ეტაპი - საშუალო და მსხვილი სამრეწველო საწარმოების რესტრუქტურირების პროცესი მძიმედ და ნელი ტემპით მიმდინარეობს.

1998 წელს საქართველოს მშპ-ის წარმოებაში მრეწველობის ხვედრითმა წონამ მხოლოდ 9,2%, სოფლის მეურნეობისა - 24,8%, ვაჭრობისა - 23,6% შეადგინა (ცხრილი №4).

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს კვლავ-წარმოების პროცესში მრეწველობის, როგორც ეკონომიკის წამყვანი დარგის არასახარბიელო მდგომარეობა 1998 წელს და წინა წლებშიც.

განვლილ წლებში ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების, სამრეწველო წარმოების მოცულობის მკვეთრი შემცირების მიუხედავად საქართველოს მრეწველობამ მაინც შეინარჩუნა 1990-იან წლებამდე არსებული დარგები და საწარმოები. ამჟამად მრეწველობა აერთიანებს: ელექტროენერგეტიკას და სათბობ მრეწველობას (რომელმაც 1999 წ. გამოუშვა 7 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქცია), შავ მეტალურგიას (5 სახეობისა), მანქანათმშენებლობას (5), ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობას (4), ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობას (2), საშენ მასალათა მრეწველობას (5), არასასურსათო სამომხმარებლო საქონლის უმნიშვნელოვანესი სახეობების წარმოებას (10), მსუბუქ მრეწველობას (7), კვების მრეწველობას (რომელმაც დაამზადა 24 სახეობის პროდუქცია). სულ მრეწველობის ყველა დარგმა 1998წ. გამოუშვა 64 უმნიშვნელოვანესი სახეობის ნატურალური პროდუქცია: ელექტროენერგია, ნავთობი, ქვანახშირი, დიზელის საწვავი, ფოლადის მილები, მანგანუმი, სატვირთო ავტომობილი, აზოტმჟავა, მინერალური სასუქები, დახერხილი მასალა, ცემენტი, ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციები, არამადნეული სამშენებლო მასალები, ტელევიზორები, ფაიფურ-ქაშანურის და მაიოლიკის ჭურჭელი, სამეურნეო საპონი, ლაქსაღებავები, პაპიროსი და სიგარეტი, ბამბის და აბრეშუმის ქსოვილი, ფეხსაცმელი, ხორცი, ძეხვეული, კარაქი, მოუხდელი რძის პროდუქცია, მცენარეული ზეთი, პურფუნთუშეულის, საკონდიტრო, მაკარონის ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები,

ჩამოსხმული მტკნარი წყალი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, ღვინო და ღვინის მასალა, ბრენდი (კონიაკი), შამპანური, ლუდი, ხარისხიანი განონილი ნატურალური ჩაი, ფქვილი, კომბინირებული საკვები და სხვა.

მოტანილი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა დღევანდელი საქართველოს ინდუსტრიული პროფილის შესახებ, რაც ძალზე საინტერესოა, მაგრამ წარმოებული ნატურპროდუქციის როგორც რაოდენობა, ისე მოცულობა მცირე და არასაკმარისია.

ამასთან, ინტერესმოკლებული არ არის მრეწველობის ამჟამად არსებული დარგობრივი სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შეფასება (ცხრილი №7).

ცხრილიდან ჩანს, რომ 1998 წელს სამრეწველო წარმოების მთლიან მოცულობაში მრეწველობის დარგებიდან დომინირებდა ელექტროენერგეტიკა, რომლის ხვედრითი წონა 1990 წლის 2,4%-დან, 1994 წელს - 31,1%-მდე, 1998 წელს - 36,1%-მდე ამაღლდა და კვების მრეწველობა, რომლის ხვედრითი წონა, შესაბამისად, უდრიდა 37,4%; 17,0% და 30,5%. ბოლო წლებში დაწინაურდა აგრეთვე შავი მეტალურგია და სათბობი მრეწველობა, ხოლო მრეწველობის წამყვანი დარგის მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონა 1990 წლის 14,3%-დან 1994 წელს - 5,9%-მდე და 1998 წელს 5,1%-მდე შემცირდა.

აღნიშნული მონაცემები ჩვენი აზრით 1990-98 წლებში საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურისა და დინამიკის დადებით ტენდენციებს

ასახავს, რაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გამოიკვეთება და სრულყოფილ სახეს მიიღებს. რაც შეეხება მანქანათმშენებლობის ხვედრითი წონის მკვეთრად შემცირებას, ერთი შეხედვით ეს თითქოს არასასურველია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ 1990 წლამდე ჩვენი ქვეყნისათვის ამ დეფორმირებული სტრუქტურისა და პოლიტიზირებული დარგის სარგებლიანობის ხარისხს, როცა შინაბაზრის მოთხოვნათა იგნორირებისას დარგის პროდუქციის 90%-ზე მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთ მოიხმარებოდა, საანალიზო წლებში მისი ხვედრითი წონის შემცირება არც ისე საგანგაშოა. უწინარესად უნდა აღორძინდეს მოცემული დარგის ის საწარმოები, რომლებიც ამიერიდან უფრო მეტად დააკმაყოფილებენ ქვეყნის შინა ბაზრის მოთხოვნებს.

3131 მოქმედი სამრეწველო სწარმოს მონაცემებით, 1998 წელს ქვეყნის მრეწველობის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობამ (მოქმედი ფასებით) 820,6 მლნ. ლარი შეადგენდა, მათ შორის ძირითადი საქმიანობის მიხედვით - 814,4 მლნ. ლარი, აქედან მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა უდრიდა 128,6 მლნ ლარს, ანუ 10,5%-ს. აქვე უნდა ითქვას, რომ მოქმედი სამრეწველო საწარმოებიდან 1998 წელს მუშაობდა 1176 (ანუ 37,6%). 2704 მოქმედი მცირე საწარმოდან უმოქმედოდ იყო 1070, ანუ მცირე საწარმოთა 39,6%.

ამჟამად ქვეყნის მრეწველობის მოქმედი საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის თითქმის ნახევარი (47,9%) მოდის 52 მსხვილ სამრეწველო საწარმოზე, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავს მრეწველური წარმოების ზრდის ტემპებს.

1998წ. საქართველოს მრეწველობის მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებელი საქმიანობის სახეობების მიხედვით ხასიათდებოდა შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრილი №8).

მე-8 ცხრილიდან ჩანს, რომ ქვეყნის მრეწველობის მოქმედ საწარმოთა საერთო რიცხვში ყველაზე დიდი ხვედრითი წონა (92%) მოდის დაუმუშავებელ მრეწველობაზე, რომლის არმომუშავე საწარმოთა წილი წარმოებულ პროდუქციაში ასავე დიდია და 58%-ს შეადგენს.

1998 წელს საქართველოს მრეწველობის პრიდუქცია ექსპორტის სახით ეგზავნებოდა დსთ-ს 11 ქვეყანას, უცხოეთის სხვა 50, სულ 61 ქვეყანას. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უდრიდა 1242,6 მლნ. აშშ დოლარს, აქედან ექსპორტი - 194 მლნ. აშშ დოლარს (ანუ 15,6%), იმპორტი - 1048,6 მლნ. აშშ დოლარს (ანუ 84,4%).

საგარეო სავაჭრო ბრუნვაში საქართველოს 10 ძირითადი პარტნიორი ქვეყნიდან, პირველ ადგილზეა რუსეთი (21,4%), შემდეგ თურქეთი (11,3%), აზერბაიჯანი (8,8%), გერმანია (7,8%), აშშ (6,8%), დიდი ბრიტანეთი (6,1%) და ა.შ.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 1998 წელს დეფიციტური იყო და (—)854,6 მლნ. აშშ დოლარს უდრიდა, ე.ი. იმპორტი 5,4-ჯერ სჭარბობდა ექსპორტს, დაახლოებით ასეთივე სურათი იყო წინა წლებშიც, აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ იმპორტულმა საქონელმა თითქმის წალეკა ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზარი, რაც გასაქანს არ აძლევს სამამულო მრეწველობის განვითარებას.

1998 წელს ქვეყნის მეურნეობაში სტატისტიკური აღრიცხვით მოცული იქნა სამეწარმეო აქტივობის პროცესში ჩაბმული ყველა სახის საკუთრების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველის კანონის სტატუსით მომუშავე 13818 მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმო. 13818 საწარმოში წლის მანძილზე გამოშვებული საქონლისა და მომსახურების მოცულობამ მოქმედი ფასებით (დღგ-სა და აქციზის გარეშე) შეადგინა 1623,3 მლნ ლარი; დასაქმებულთა რიცხოვნობამ - 434,2 ათასი კიცი. სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ საწარმოთა საერთო რაოდენობის 4/5 მიეკუთვნება არასახელმწიფო სექტორს, ხოლო 1/5 - სახელმწიფო სექტორს. საწარმოში დასაქმებული პერსონალი დაახლოებით თანაბრად ნაწილდება ეკონომიკის ამ ორ სექტორს შორის. ყველა ზომის საწარმოს მიერ 1998 წელს პროდუქციის (საქონელი და მომსახურება) მთლიანი გამოშვების 53,3% (864,9 მლნ. ლარი) მოდის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორზე, ხოლო 46,7% (758,4 მლნ. ლარი) არასახელმწიფო სექტორზე (იხ. ცხრილი №9).

ცხრილის მონაცემები თვალსაჩინოდ გვიხასიათებს ქვეყანაში 1994-98წ.წ. ეკონომიკური რეფორმებით გამოწვეულ ცვლილებებს-სახელმწიფო საწარმოთა დემონოპოლიზაციის, წარმოების კონცენტრაციის დონის, საწარმოთა ზომის, ინსტიტუციურ, შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, რაც გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებას ასახავს.

ამჟამად ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის, საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები ძალზე დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ დარგს პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდების სფეროში დიდი რეზერვები გააჩნია.

ქვეყნის ეკონომიკის, მათ შორის მრეწველიბის რეფორმირების, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის პროცესების გაჭიანურება სამრეწველო პოტენციალის არასრულად გამოყენება დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მეტად საზიანოა: ჯერ ერთი, პოსტპრივატიზებულ, აქციონირებულ და მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა უმოქმედობით (შემოსავლების უქონლობით) მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები აკლდება სახელმწიფო ბიუჯეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერხდება ქვეყნის სოციალური პროგრამების შესრულება; 2) ერთნული ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში, მათ შორის მრეწველობაში ფერხდება

ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც აღნიშნულ სექტორებში მაღალხარისხიანი, ანუ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდის მძლავრი ფაქტორია. აქედან გამომდინარე სამამულო წარმოების მთლიან მოცულობაში საექსპორტო საქონლის მცირე ხვედრითი წონის გამო სახელმწიფო კარგავს მნიშვნელოვან სავალუტო შემოსავლებს; 3) ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში აკანონებს შრომისუნარიანი მოსახლეობის სოლიდური ნაწილის უმუშევრობას, მისგან გამომდინარე ნეგატიური შედეგებით, რომლებიც, როგორც წესი სულ უფრო გამოვლინდება კრიმინოგენური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებით; 4) უმოქმედობით გამოწვეული სამრეწველო ობიექტების - შენობა-ნაგებობების ფიზიკური გაცვეთა ავარიების საფრთხეს შეიცავს; 5) მცირდება ჯეროვან დონეზე ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის, საბოლოო ანგარიშით ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიები; 6) ქვეყნისათვის სრულიად ახალი პერსპექტიული დარგების - ტურიზმის, ნავთობსადენების, პორტებისა და სხვა ახალი დარგების მომსახურებისა და ექსპლუატაციის, საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესი; 7) მრავალი წლის განმავლობაში აკანონებს საგარეო სავაჭრო ბრუნვის (ბალანსის) დეფიციტს იმპორტის ზრდასა და ექსპორტის შემცირებას, რაც დიდ ზიანს აყენებს შიდა ბაზრისა და მთელი ქვეყნის ინტერესებს.

ქვეყნის მრეწველობის სხვადასხვა მიმართულებით გარდაქმნის მიმდინარე პროცესებმა (რესტრუქტურირებამ, პრივატიზება-აქციონირებამ და სხვ.) კონცენტრირებული ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებაში, რითიც გაცხადდება თუ როგორი მრეწველობა სჭირდება ქვეყანას დღეს და რაც მთავარია მომავალში.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანას პირველად ეძლევა ისტორიული შანსი მეურნეობის გლობალური გარდაქმნების კვალობაზე საფუძველი ჩაუყაროს განვითარებულ, მსიფლიო სტანდარტების შესაბამის, ძირითადად საკუთარი ნედლეულის ბაზარზე (ადგილობრივ რესურსებზე) დაფუძნებულ, კონკურენტუნარიან ეროვნულ სამრეწველო კომპლექსს, რომელმაც უნდა უპასუხოს საბაზრო ეკონომიკის სამ ფუნდამენტურ შეკითხვას: „რა?“, „როგორ?“, და „ვინ?“, ე.ი. რა სახეობისა და რაოდენობის მრეწველობის პროდუქცია და მომსახურება უნდა აწარმოოს, როგორ უნდა აწარმოოს და ვინ უნდა მიიღოს და მოიხმაროს ეს პროდუქცია. განვითარებულ საბაზრო სისტემის პირობებში ეს საკითხი ძირითადად წყდება იძულებისა და ცენტალიზებული მართვის გარეშე, მაგრამ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის ეკონომიკური პროცესების მართვა და სახელმწიფო რეგულირება კანონზომიერია.

უწინარესად ვუპასუხოთ პირველ კითხვას („რა?“): გარდამავალ ეტაპზე საქართველოს მრეწველობამ შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და მსოფლიოს გლობალური ინტეგრაციული პროცესებისა და კონკურენტული საბაზრო პირობების გათვალისწინებით უნდა აღადგინოს და აწარმოოს: 1. კონკურენტუნარიანი კვების მრეწვლობის პროდუქცია, რომლის წარმოების ტრადიციებიც მას გააჩნია; 2. მძიმე მრეწველობის პროდუქცია, რომელიც წაადგება ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებას და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ამ მიზნით საჭროა ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაკვეთების (როგორც იარაღის, ისე კვების პროდუქტების და სამხედრო ფორმის - ფეხსაცმლისა და ტასაცმლის) განთავსება მრეწველობის შესაბამისი დარგების მოქმედ, სიცოცხლისუნარიან სახელმწიფო (თუ არასახელმწიფო) საქტორის საწარმოებში. კერძოდ, მანქანათა-შენ საწარმოებში (რომელთა დიდი ნაწილი პოტენციური სამხედრო- სამრეწველო კომპლექსის საწარმოებია მაგალითად, როგორიცაა ს/საზოგადოებები: თბილისის „საავიაციო“, „ჩარხმშენებელი“ და სხვა), მსუბუქი კვებისა და ქიმიური მრეწველიბის საწარმოებში, 3) შინა ბაზრისათვის სამომხმარებლო საქონელი (რომლის დასამზადებლად ადგილზე საჭირო შრომითი, ნედლეულისა და სხვა მდიდარი რესურსები არსებობს); სამთო მინათმოქმედების მცირეგაბარიტიანი სასოფლო: სამეურნეო დანიშნულების მანქანები, იარაღები, ცხოველთა და მცენარეთა დაცვის აგროქიმიური საშუალებები (კირი, შაბიამანი, შხამქიმიკატები, მედიკამენტები და სხვ.), რომლებზეც შინა ბაზრის დიდი მოთხოვნაა; 4) შექმნას და აითვისოს ჩვენი ქვეყნისათვის პერსპექტიული დარგის ტურიზმის და ტურისტებისათვის განკუთვნილი პროდუქცია; 5) პარტნიორულ (სახელშეკრულებო) საწყისებზე მიიღოს და შეასრულოს „AES თელასისა“ და სხვა ფირმებისა და კომპანიების დაკვეთები. მეორე კითხვა „როგორ“ საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია. როგორც უკვე ითქვა, მრეწველობის მთელი საწარმოო აპარატი ტექნოლოგიის ჩათვლით დღეს თითქმის ამორტიზირებულია, რომლის ძირფესვიანი განახლებაა საჭირო, რასაც დიდძალი ინვესტიციები სჭირდება, რაც ქვეყანას არ გააჩნია. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა ქვეყნებში ჩვენი სამრეწველო საწარმოების რეაბილიტაციითა და მოდერნიზაციით, ერთობლიები საწარმოების შექმნით პარტნიორულ საწყისებზე უცხოელი ინვესტორების დაინტერესებისა და მოზიდვის სამუშაოთა გაფართოება, რითაც საჭიროა შეთავაზებულ საწარმოთა კანდიდატების წინასწარ განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებასთან, რათა მაქსიმალურად შემცირდეს გარდასაქმნელ საწარმოთა

წრე, სამუშაოთა მასშტაბები და ზედმეტი დანახარჯები.

მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია სარეკომენდაციო საწარმოთა კანდიდატების შერჩევისა და დაჯგუფების სხვადასხვა ხერხები, რომლითაც განისაზღვრება საწარმოთა შემდეგი კატეგორიები:

- არსებითად საჭირო სტრატეგიული და სიცოხლისუნარიანი საწარმოები, რომლებიც შენარჩუნებული უნდა იქნას;
- არსებითად საჭირო სტრატეგიული, მაგრამ არასიცოცხლისუნარიანი საწარმოები, რომლებიც შეიძლება შენარჩუნდეს, თუ დაისახება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები;
- არსებით ხასიათს არასტრატეგიული, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი საწარმოები, რომლებიც მთლინად ან ნაწილ-ნაწილ შეღავათიანად შეიძლება მიეყიდოს კერძო პირებს;
- არაარსებითი ხასიათის არასტრატეგიული და სიცოცხლისუუნარო საწარმოები, რომლებიც ლიკვიდირებული უნდა იქნას.

საწარმოთა ამ კატეგორიებს ჩვენს პირობებში შესაძლოა დაემატოს სხვა ტიპის საწარმოები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება და სარეაბილიტაციო საწარმოთა ზუსტად განსაზღვრა ქვეყნის მრეწველიბის პერსპექტიული დარგობრივი სტრუქტურის დასადგენად აუცილებელია, რამეთუ ეს უკანასკნელი მრეწველობის რეფორმირების რთული სისტემის ერთიან ჯაჭვში მთავარ რგოლად შეიძლება იყოს მიჩნეული, რომლის განსაზღვრით სხვა დანარჩენი პრობლემა შედარებით უმტკივნეულოდ შეიძლება გადაიჭრას.

მესამე კითხვა - „ვინ?“: თუ სოციალისტურ მეურნეობაში მთავრობის მითითებით საგეგმო ორგანოების მუშაკები თითქმის მთლიანად განსაზღვრავდნენ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებს, საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე ქვეყნის სამამულო მრეწველობის პროდუქციის მომხმარებლებს განსაზღვრავს: კოლექტიური მოხმარების საქონელზე - კერძო სექტორი - მარკეტინგის, საბაზრო თვითღირებულების მექანიზმის, მოთხოვნა-მიწოდების კანონის მოთხოვნათა საფუძველზე; გ) საექსპორტო საქონელზე - სახელმწიფო და კერძო სექტორი.

სამამულო საქონლის წარმოების გაზრდის და მრეწველობის აღორძინებისათვის საჭიროა საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირება, საშუალო და ღარიბი ფენების გადახდაუნარიანობის ზრდა, რაც ეროვნული მრეწველიბის განვითარების მძლავრი სტიმულია. სამამულო წარმოების ეკოლოგიურად სუფთა საქონელზე (პროდუქტზე) მოთხოვნის ზრდისათვის საჭიროა იმპორტული პროდუქციის იმ სახეობათა შემცირება, რომლის წარმოების გაზრდის პირობები ადგილზე არსებობს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის მუშაობის მოკლე მიმოხილვითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ჩვენს ქვეყანაში, ახალი ტიპის გარდამავალი ეკონომიკის მშენებლობა არაორდინარულ პირობებში, რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობდა, 1993-94 წლიანი წლებიდან მოყოლებული დასახული კურსის მიხედვით მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მრეწველობაში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები, მიღებულია გარკვეული შედეგები.

მიღწეულის მიუხედავად, საკვლევ დარგში, მრეწველობაში რეფორმის (სახელმწიფო საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნის და სხვ.) ტემპები, განსაკუთრებით მისი შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, რომლებიც ვლინდება მრეწველობის დარგებისა და საწარმოების სიმძლავრეების უმოქმედობით, ან მისი დატვირთვის უკიდურესად დაბალი დონით (10-15%), სამამულო წარმოების მთელი რიგი საქონლის მიხედვით (მ.შ. ეკოლოგიურად სუფთა) ქვეყნისა და ხალხის მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობით.

განსაკუთრებით მწვავედ დგას მსხვილი სახელმწიფო საწარმოების (სააქციო საზოგადოებების) რესტრუქტურირების, აქციების პრივატიზების, დემონოპოლიზაციისა და კორპორირების საკითხები, რომელთა საწესდებო კაპიტალის წილი სახელმწიფო ქონების მოცულობაში საკმაოდ დიდია.

მიუხედავად ამისა საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის მრეწველობის რეფორმირების, სტრუქტურული გარდაქმნისა და რეაბილიტაციის შეუქცევადი პროცესები კვლავაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. ამას ადასტურებს თუნდაც მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საინვესტიციო პროექტების შესრულების მიმდინარეობა, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ: ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის, სოფლის მეურნეობის განვითარების, საქართველოს მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის და სხვა პროექტები.

ყოველივე ეს, აგრეთვე ეროვნული ეკონომიკის რეფორმირების განვლილ წლებში შეძენილი გარკვეული პრაქტიკული გაცდილების დაგროვება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით 5-6 წლის განმავლობაში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპი - ქვეყნის სოციალური პროგრამის შესრულება, აგრეთვე მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნისა და რეალიზაციის პროცესი ბოლომდე იქნება მიყვანილი, საბოლოო ანგარიშით ჩამოყალიბება დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნის ეროვნული მრეწველობის დარგობრივ-ტერიტორიული სტრუქტურა, რითაც მრეწვე-

ლობა თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მეურნეობის დარგთა სისტემაში, სამამულო წარმოების პროდუქციით ძირითადად უზრუნველყოფს ქვეყნისა და ხალხის მოთხოვნებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1) საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ მრეწველობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეზის განსაზღვრა, რომელმაც ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყნის ნათელი სამრეწველო პოლიტიკის შემუშავებაში, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის პრიორიტეტული დარგებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერაში; 2) საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა, კერძოდ, მრეწველობის შესახებ კანონის მიღება და უკვე მიღებული კანონების რეალური ამოქმედება, იმ მიზეზების სპეციალური შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფს გაკოტრების კანონის ამოქმედებას.

ბიუჯეტთან სამრეწველო საწარმოთა ურთიერთობის საკითხები

ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ფორმირების ამჟამინდელ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება უფრო მეტად საგარეო პოლიტიკის დარგში მოპოვებული წარმატებებით, პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ქვეყნის შინამოწყობისა და ორგანიზაციის, მისი მაკრო და მიკროეკონომიკური სტაბილიზაციის, მიღწეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ხალხისაკენ შემობრუნების, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საპრეზიდენტო პროგრამის შესრულება, რომლის მძლავრი ფინანსური ბერკეტია ქვეყნის უდეფიციტო ბიუჯეტი. ამ უკანასკნელის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, ქალაქების, რეგიონებისა და მხარეების ბიუჯეტების შესრულებაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის თბილისის ბიუჯეტზე, რომელზედაც მოდის ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 50-60%.

ქ. თბილისის საფინანსო ორგანოების (თბილისის საგადასახადო ინსპექციის) მონაცემებით მთლიანი სახელმწიფო შემოსავლების ფაქტიურმა მაჩვენებელმა (მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გარეშე) 1998 წელს 171,1 მლნ. ლარი შეადგინა და გეგმა 133,8%-ით შეასრულდა; ეს გეგმა შეასრულა ქალაქის ყველა რაიონულმა ინსპექციამ, რასაც ვერ ვიტყვით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაზე, რომელმაც გეგმის შესრულებას 40,8 მლნ. ლარი დააკლო და გეგმა 67,6%-ით შეასრულა. ამის გამო ქ. თბილისის ტერიტორიის მიხედვით სახელმწიფო შემოსავლების გეგმა მხოლოდ 101%-ით შესრულდა.

თბილისის ტერიტორიის 1998 წლის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურას წყაროების მიხედვით გვიხასიათებს შემდეგი მონაცემები:

	მლნ. ლარი	%
შემოსავლები სულ	256,4	100
მათ შორის		
საგადასახადო შემოსავლები	200,3	78,1
არასაგადასახადო შემოსავლები	8,2	3,2
და მოსაკრებლები		
კაპიტალური შემოსავლები	47,9	18,7

წინა წლებთან შედარებით შემოსავლების სტრუქტურა გადასახადის სახეების მიხედვით დიდად არ შეცვლილა, კერძოდ, მთელი შემოსავლების 32,6% მოდიოდა დღგ-ზე, 13,3% - მოგების, 22,2% - საშემოსავლო გადასახადზე, 3,5% - ქონების გადასახადზე და ა.შ.

რაც შეეხება თბილისის ბიუჯეტს[5], 1998 წ. ამ ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 108,5 მლნ. ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 96,1% დ. ტერიტორიის ბიუჯეტის შემოსავლებისა 42,3%-ია. თბილისის რაიონებიდან საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა შეასრულა: მთაწმინდის, ვაკის, დიდუბის და ჩუღურეთის რაიონებმა; გეგმა ვერ შეასრულა: ნაძალადევის, კრწანისის, ისნის, სამგორის, გლდანის, საბურთალოს, რაიონებმა. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რაიონებში ქალაქის ბიუჯეტის შევსების მნისველოვანი რეზერვები არსებობს.

ქალაქის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი რეზერვია თბილისის არაენტაბელურ სამრეწველო საწარმოთა მინიმუმამდე შემცირება. 1998 წელს თბილისში იყო 437 ზარალით მომუშავე საწარმო.

საბაზრო მექანიზმი და საბაზრო ურთიერთობები ვერ იტანს ჩამორცენილ საწარმოებს, რაზეც პასუხისმგებლობა, უწინარეს ყოვლისა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, მენეჯერებმა უნდა იტვირთონ.

ტერიტორიული ასპექტის პარარელურად აგრეთვე საინტერესოა ბიუჯეტის შესრულებაში ქალაქის მეურნეობის ძირითადი დარგების, კერძოდ მრეწველობის მიერ შეტანილი წვლილიც. მოცემული საკითხის შესწავლამ შემდეგი სურათი გვიჩვენა (ცხრილი №10).

ცხრილიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1995 წელს, ქალაქის მეურნეობის დარგებიდან ბიუჯეტის შემოსავლებში მრეწველობის მიერ შეტანილი წვლილი საკმაოდ დიდი იყო და უდრიდა 38,5%.

5 თბილისის ბიუჯეტის შემოსავლებში იგულისხმება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, ხოლო თბილისის ტერიტორიის ბიუჯეტების შემოსავლებში - ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტების შემოსავლები ერთად აღებული.

ზომდევნო წლებში ეს წვლილი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც სხვა (გაუშიფრავი) დარგების, აგრეთვე მშენებლობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთგვარი დაწინაურებით უნდა აეხსნას.

თბილისის მრეწველობას კრიზისული მდგომარეობის მიუხედავად ბიუჯეტის შესავსებად გარკვეული რეზერვები გააჩნია; ეს რეზერვებია ქალაქის ყველა რაიონის მიხედვით საბიუჯეტო შემოსავლების 100%-იანი შესრულება, მოქმედ სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტების ამაღლება, პრივატიზებულ და აქციონირებულ უმოქმედო საწარმოთა ამუშავება, ზარალით მომუშავე საწარმოთა რიცხვის მინიმუმამდე შემცირება და სხვ.

ამჟამად ჩვენი ქვეყანა მწვავე საბიუჯეტო კრიზისს განიცდის, რითაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა 1998 წელი და 1999 წელსაც გაგრძელდა. ამის მიზეზად ოფიციალურად ასახელებენ გარე ფაქტორებს, მაგალითად რუსეთის საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც თითქოს გავრცელდა საქართველოზეც, როგორც რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე. რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ შინა ფაქტორებს, ამაზე საერთოდ საუბარი არ არის, რაც ჩვენი აზრით არამართებულია.

აი რას წერს ამის შესახებ ერთ-ერთი უკრაინელი ავტორი, ეკონომისტი ვ.ი. გოლიკოვი: 1998 წლის კრიზისი უკრაინაში, რუსეთში და სხვაგან წარმოიშვა არა იმდენად მსოფლიო საფინანსო სისტემის კრიზის გამო, უფრო მეტად შინა მიზეზების - მატერიალური წარმოებიდან (ანუ რეალური ეკონომიკიდან) ქვეყნის საფინანსო სისტემის მოწყვეტის, სამამულო წარმოების და ბაზრის მოშლის, უცხოური სესხებით ეკონომიკის გამაგრების არაეფექტური პოლიტიკის გატარების გამო.

ზემოაღნიშნულიდან წიგნის ავტორს გამოაქვს დასკვნა: „იმ ქვეყნებს, რომლებიც სერიოზულად ზრუნავენ მატერიალური წარმოებისა და ფულადი საფინანსო სისტემის ორგანულ ერთიანობაზე, მსოფლიო ფინანსური ქარიშხლები გადააქვთ უფრო ნაკლები დანახარჯებით“.[6] ჭეშმარიტად, შეუძლებელია მკითხველი არ დაეთანხმოს განსახილველ საკითხზე ვ.ი. გოლიკოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას.

გარდამავალი პერიოდის წარმოებითი ურთიერთობანი

გარდამავალ პერიოდში წარმოებითი ურთიერთობანი, ისე როგორც საწარმოო ძალები არსებითად შეიცვალა, წარმოების დაცემასა და მასშტაბების შემცირებასთან ერთად წარმოებით ურთიერთობათა არეალიც შემცირდა. ამჟამად, ეს ურთიერთობანი წარმოადგენს ტრანსფორმირების პროცესში მყოფი დეფორმირებული და შეევიწროებულ საწარმოო ძალთა ადეკვატურ ფორმას. ქვეყნის სახელმწიფო და არასახელმწიფო საკუთრების დიდი ნაწილი (საწარმოთა წარმოებრივი ფონდების სახით) არ ფუნქციონირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომითი რესურსები საზოგადოებრივ წარმოებაში მონყვეტილია წარმოების საშუალებებს, რის გამოც მატერიალური დოვლათის კვლავწარმოების ნორმალური პროცესი დარღვეულია.

რაკი პრივატიზებული ქონების დიდი ნაწილი მოექცა ადამიანების შეძლებული ჯგუფების ხელში, ამან შეცვალა აგრეთვე თანაფარდობანი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის. სახელმწიფოსთან ერთად მდიდრები ამჟამად ფლობენ მთელი პრივატიზებული ქონების დაახლოებით 70-80%-ს, ღარიბები 20-30%.

არსებითად შეცვალა აგრეთვე გაცვლისა და განაწილების პრინციპები და ფორმები. გაცვლას საფუძვლად უდევს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი. კერძო სექტორმა ადამ სმიტის „უჩინარი ხელის“ ძალით საკმაოდ შეავიწროვა სახელმწიფო სექტორი, რის გამოც მაკროეკონომიკური პროცესები მიზანმიმართულ მართვას და სახელმწიფო რეგულირებას მოითხოვს.

როგორც ჩანს, გარდამავალ პერიოდში მყოფი განვითარებადი ქვეყნის საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკის არსი და ხასიათი განვითარებულ ქვეყანაში ამ შინაარსისა (საწარმოო ძალების) და ფორმის (წარმოებითი ურთიერთობების) დიალექტისა და მათი დამოკიდებულების ფორმისაგან განსხვავებულია, რასაც გონივრული გაანალიზება სჭირდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი და შესაძლო სოციალური აფეთქებები.

რადიკალური რეფორმები ქვეყანაში დაიწყო ზევიდან. საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი ზედა ეშელონების ძალისხმევით განხორციელდა. ამიტომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს ეკონომიკური რეფორმა ქვეყანაში, არეგულიროს და მართოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, საბოლოო ანგარიშით შექმნას და წონასწორობაში მოიყვანოს ქვეყნის საწარმოო ძალები და მისი შესაბამისი საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობანი. ამ მიზნით საჭიროა გარდამავალი პერიოდის საბაზრო-ეკონომიკური სისტემის თავისებურებათა მეცნიერული ანალიზი და შეფასება, ხოლო ქვეყნის ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად სამამულო

6 იხ. ვ. ი. გოლიკოვი და სხვა. „Предприятие в системе государственного управления и регулирования,“ Киев, 1998, стр. 26.

ეკონომიკური მეცნიერების დახმარებით უნდა დამუშავდეს თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები ქვეყნის აღმშენებლობის მიმდინარე პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. ყოველივე ამან გამოხატულება უნდა ჰპოვოს მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული ეროვნული იდეოლოგიის, ეკონომიკური და რეგიონალური პოლიტიკის შემუშავებითა და პრაქტიკული განხორციელებით.

მიზნების პირამიდა: როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკური რეფორმის წლებში სახელმწიფო საწარმოთა აქციონირებულ და პრივატიზებულ საწარმოებად გარდაქმნამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკის და თბილისის მეურნეობის დარგების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, მაგრამ ამ გარდაქმნების „მარგი ქმედების კოეფიციენტი" ძალზე დაბალია, რაც უწინარესად გამოვლინდა მიზერული სოციალური ეფექტით, პრივატიზებულ და აქციონირებულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის უმოქმედობით და უმუშევრობის ზრდით, მცირე და საშუალო ბიზნესის არაჯეროვანი განვითარებით, მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოუყალიბებლობით, სუსტი კონკურენტული გარემოთი, ქვეყნის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსით, კორუფციის მასშტაბების არნახული ზრდით, სეკვესტრირებული ბიუჯეტის შეუსრულებლობით და სხვ.

არა ერთი წელია ქვეყნის (მათ შორის თბილისის) მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე (რაც გამოწვეულია შიმშილით, ზამთარში უსინათლობით, უგაზობით, გადაცვებული სახლებით და ა.შ.) ისე დაბალია, რომ კრიტიკას ვერ უძლებს. მოსახლეობის ნაწილი უღარიბესი ფენიდან ფსიქიურად დაავადებულია, რადგან ვერ მონახა შესაფერისი სამუშაო ქვეყანაში. დუხჭირი ცხოვრება ამ ბოლო დროს გახდა დემოგრაფიული პოტენციალის შემცირებისა და სიტუაციის გაუარესების - ავადმყოფობის, ჩვილ ბავშვთა და მოხუცთა ნაადრევი სიკვდილიანობის შემთხვევათა, უპოვართა და უპატრონო ბავშვთა რიცხვის ზრდის და დეპოპულიციის მიზეზი.

საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის დამახასიათებელი პრობლემების - ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის, გლობალური საგარეო საკითხების გადაწყვეტის, აგრეთვე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების დარეგულირების სირთულენი. აღნიშნული პრობლემები მძიმე ტვირთად აწევს ქვეყანას, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს პიროვნების ღირსებათა დათრგუნვის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, მისი ფიზიკური გადარჩენის გენეტიკური მოთხოვნის იგნორირების ხარჯზე. ამგვარი სოციალური პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯის შემლახველი, წამგებიანი, უზნეო და დამღუპველია.

ამჟამად, საქართველოს მოსახლეობის 90% ცხოვრების დონისა და ხარისხის მიხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში. საქართველოს მშპ-ის მოცულობიდან 2000 წ. მოსახლეობის 1 სულზე საშუალოდ მოდიოდა დაახლოებით 600 დოლარი, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. საინტერესოა, რომ აშშ-ში ანალოგიური მაჩვენებელი უდრიდა 28 000 დოლარს, ანუ 47-ჯერ მეტს.

განვლილ წლებში, სოციალურ სფეროში მომხდარი უმნიშვნელო ძვრების მიუხედავად, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს მიღმა იმყოფებოდა: 1 კაცი დღეში საშუალოდ 2-დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა. საყურადღებოა, რომ რეფორმის წლებში ადამიანთა რეალურმა შემოსავალმა საარსებო მინიმუმის ნახევარსაც ვერ მიაღწია. კერძოდ, 2000 წლის დეკემბერში ნორმატიული მინიმალური ხელფასი ოთხსულიანი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის 45,5 ლარს უდრიდა. დღემდე მოქმედი ნორმებით გაანგარიშებული საარსებო მინიმუმი კი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანისათვის 114,5 ლარი იყო.

ოფიციალური წყაროებიდან ჩანს, რომ შინამეურნეობების მოხმარების მიხედვით მოსახლეობა მკვეთრად დიფერენცირებულია. თუ 2000 წელს ხუთი კვინტილური ჯგუფიდან ყველაზე შეძლებულ მეხუთე ჯგუფში ქალაქად მოხმარების სიდიდე თვეში საშუალოდ 326 ლარი იყო, პირველ, ანუ ყველაზე ღარიბ ჯგუფში - მხოლოდ 42 ლარი, ანუ 7,7-ჯერ ნაკლები.[7]

ეკონომიკური თეორიის ახალ სახელმძღვანელოში[8] მრავლად ვხვდებით ახალ ცნებებსა და კატეგორიებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, მათ შორისაა „მიზნების პირამიდა", რომელიც სამი ურთიერთდაკავშირებული მიზნისაგან შედგება (იხ. სქემა): 1. საზოგადოებრივი კეთილდღეობა, რომელიც პირამიდის წვერშია; 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნები (თავისუფლება, საზოგადოებრივი წესრიგი, ქვეყნის უსაფრთხოება); 3. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები (ქვეყნის სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა). თუ ამ მიზნებს და ჩვენს რეალურ ცხოვრებას ერთმანეთს შევადარებთ, მათ შორის დიდ განსხვავებას დავინახავთ, რამეთუ ქვეყნის ტრანსფორმაციის ათი წლის თავზე სრულფასოვნად თითქმის არც ერთი მიზანი არ შესრულებულა.

ლოგიკურად ისმის კითხვა: რა მიზნით ტარდება ჩვენს ქვეყანაში ასეთი მასშტაბური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეკონომიკური რეფორმები ქვეყანაში მთავარი სოციალური მიზნის იგნორირებით, გარდაქმნის პროცესების სახელმწიფო მართვისა და მაკროეკონომიკური რეგულირების დაბალი დონის პირობებში, მოსალოდნელი შედეგების გაუცნობიერებლად, არასტაბილურად, ერთიანი სტრატეგიული გეზის გარეშე მიმდინარეობს.

გარდამავალ პერიოდში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების არაადეკვატურობის, ანუ მცირე ეფექტიანობის მთავარი მიზეზებია: ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოუწყობლობა, ანუ ტერიტორიების დაკარგვა შესაბამისი შედეგებით; ახალი სუვერენული ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის, ანუ საბოლოო მიზნის მიღწევის ბუნდოვანი მოდელი (კერძოდ, ქვეყანას არ გააჩნია მეცნიერულად ღრმად დასაბუთებული, გამჭვირვალე სახელმწიფო ეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკა); მესამე, სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოების მხრიდან ქვეყანაში არ შეინიშნება გარდამავალ პერიოდის ურთულესი ტრანსფორმაციული პროცესების, მათი გამომწვევი მიზეზების გაცნობიერების და ანალიზის ნებასურვილი, რაც გარდაუვლად იწვევს ქვეყნის თვითდინებით განვითარებას. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის მშენებლობაში უგულვებელყოფილია ეკონომიკური მეცნიერების როლი და მნიშვნელობა. მართალია დაგვიანებულია მაგრამ, გარდაუვალია იმის უფრო ღრმა ანალიზი თუ რას წარმოადგენს ამჟამად ქვეყნის საწარმოო ძალები, საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობანი, რა ცვლილებანი განიცადეს მათ ტრანსფორმაციული პროცესების შედეგად, შეესაბამება თუ არა ისინი ერთმანეთს. საჭიროა გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები, შემუშავდეს აღნიშნული მოვლენებისა და პროცესების მაკროეკონომიკური მართვისა და რეგულირების წინადადებანი და რეკომენდაციები.

საქართველოში რეფორმის მიმდინარეობის ანალიზიდან ნათელია, რომ ქვეყნის და მისი შიდარეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაცია და ამ პროცესების ბოლომდე მიყვანა სტიქიურად, ინერციის ძალით ვერ განხორციელდება. ამასთან, საერთაშორისო შრომის დანაწილების, მსოფლიო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მიმდინარე პროცესები სრულიად ახალ ამოცანებს უსახავს თვისებრივად შეცვლილ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყოფ ჩვენს ქვეყანას. არსებული რეალობის, დამოუკიდებელი აღმშენებლობის გზაზე მყოფი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, საწარმოო ძალებისა და ადეკვატურ წარმოებით ურთიერთობათა ფორმირება მეცნიერულ-თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს, მაღალკვალიფიციური მართვის (განსაკუთრებით საშუალო რგოლის) აპარატს და მაკროეკონომიკურ რეგულირებას უნდა ემყარებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. I-V, თბილისი, 1996-2000 წ.წ.;
2. ე. შეყვარდნაძე, ახალი პრიორიტეტები ახალი საქართველოსთვის (წინასაარჩევნო პროგრამა: აღმშენებლობა, განვითარება, კეთილდღეობა, თბ., 2000);
3. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, III ნაწილი, თბ., 2001;
4. გ. გრიგოლაშვილი, რ. კაკულია, დ. მოურავიძე და სხვ. ადგილობრივი (რეგიონული) ეკონომიკის განვითარების და მართვის პრობლემები, თბ., 2001;
5. Економическая теория под редакцией доктора економических наук профессора В. Д. Камаева, М., 1999;
6. В. И. Бутов и др. Основы региональной экономики. Учебное пособие, М., 2000;
7. Економика предприятия под редакцией профессора В. Я. Горфинкеля, профессора В.А. Швандара, М.,1998;
8. Линвуд Т. Гайгер. Макроэкономическая теория и переходная экономика. Перевод с английского, М., 1996;
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2000. თბილისი - 2000;
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წელს, თბ., 2001;
11. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წელს, თბ., 2001.

---

7 იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წელს, თბ, 2001, გვ. 39

8 Экономическая теория под редакцией профессора В. Д. Камаева, М., 1999, стр. 458.

ცხრილი N1

მცირე პრივატიზება დარგებისა და სექტორების მიხედვით
2001 წლის 1 იანვრისათვის

დარგების და სექტორების დასახელება	საპრივატიზაციოდ დამტკიცებული ობიექტების რაოდენობა	პრივატიზებული ობიექტები სულ	პრივატიზებულია 2000 წ.
საქართველოში სულ	13527	15376	882
მ.შ. მრეწველობა	392	301	12
ენერგეტიკა	56	44	7
პურპროდუქტები	142	116	6
სოფლის მეურნეობა და სურსათი	757	796	141
მშენებლობა	536	337	22
ვაჭრობა	4664	5291	159
საყოფაცხოვრებო მომსახურეობაზე	5518	6847	420
ნავთობპროდუქტები	172	173	2
ჯანმრთელობის დაცვა	785	606	15
სოციალური სფერო	415	655	61
ტრანსპორტი	190	210	38

ცხრილიN2

სექციონირება დარგებისა და სტრუქტურების მიხედვით 2001 წლის 1 იანვრისათვის

	სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნილ ობიექტთა ნუსხა	დაფუძნებული და რეგისტრირებულია ს/საზოგადოებად	დაფუძნებული და რეგისტრირებულია ს/საზოგადოებებად 2000წ.
საქართველოში სულ	1334	1312	126
მ. მ. მრეწველობა	196	195	10
სამთო ქიმია	31	25	1
პურპროდუქტები	61	24	1
სოფლის მეურნეობა და სურსათი	388	348	15
არქიტექტურა და მშენებლობა	226	227	6
ვაჭრობა და მატერიალ. რესურსები	86	73	3
ნავთობპროდუქტები	49	28	2
საქგაზი	58	49	4
ტრანსპორტი	118	117	4
სოციალური სფერო	57	67	22
ჯანმრთელობის დაცვა	1	34	34
ენერგეტიკა	64	125	26

ცხრილი შედგენილია საქართველოს სახელმწიფოს ქონების მართვის სამინისტროს მონაცემების მახედვით.

ცხრილიN3

სააქციო საზოგადოებების მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებელი 1995-1996 წ.წ.

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1995 (აქციონირება მდე	1996 (აქციონირების შემდეგ)	1996წ. 1995 წელთან ზრდა(+) კლება(–)
წარმოებული პროდუქცია	ლარი	793637	2430194	1636557
ბიუჯეტში ჩარიცხული თანხა	„	575936	559536	-16401
მოგება	„	327625	315174	-12451
მომუშავეთა რაოდენობა	კაცი	32703	25826	-6877
შრომის ნაყოფიერება	ლარი	2424	9410	387,7%
საშუალო ხელფასი	კაცი	7--20	15--07	209,3%

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით და ასახავს 306 სააქციო საზოგადოების მუშაობას.

ცხრილიN4

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა(მოქმედი ფასებით)
პროცენტობით

დარგების დასახელება	1995 წ.	1996წ.	1997წ.	1998წ.
მთლიანი შიდა პროდუქტი სულ მათ შორის:	100	100	100	100
მრეწველობა	9,5	10,3	9,6	9,2
სოფლის მეურნეობა	41,8	31,0	28,2	24,8
მშენებლობა	2,2	4,6	4,8	5,8
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	8,5	6,3	9,9	12,4
ვაჭრობა	26,1	22,2	22,0	23,6
სხვა დარგები	0,4	1,6	1,7	4,8
მატერიალური წარმოება სულ	88,5	76,0	76,2	75,8
არამატერიალური წარმოება	5,9	20,5	19,1	19,4
წმინდა გადადასახადები	5,9	3,5	4,7	4,8

ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების მიხედვით.

ცხრილიN5

„მთავარინვესტის" აქციათა განლაგება საწარმოების მიხედვით და მიღებული დივიდენდები 1995-1997 წ.წ.

საწარმოთა დასახელება	სახელმწიფოს წილი %	საწარმოთა აქციების რაოდენობა	მათ შორის „მთავარინვესტის" აქციების		დივიდენდები საანგარიშო წლის შედეგებით		
			რაოდენობა	ხვედრითი წონა %	1995 ლარი	1996 ლარი	1997 ლარი
1	2	3	4	5	6	7	8
ს/ს დედოფლის წყაროს მეფრინველეობის ფაბრიკა „ლეგი"	0,3	621156	149815	24,2			
ს/ს„ვერძი-94" (შულავრის მატყლის გადამმუშ. ფაბრიკა	0.7	671654	120097	17,8			
თბილისის ქალალდის ფაბრიკა	37.7	176626	24300	13,7			
ს/ს სანაპირო-10	30.0	139573	15300	10,9			
ექსტრა (ცხოროწყუს ჩაის ექსპ. კომბ.)		68514	7245	10,5			
ს/ს შროშა (ძირულას ცაცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა)		148577	13500	9,0			
ს/ს მუხრანის ღვინო	51.0	61188	5100	8,3			
თბილრეკლამა		54191	4050	7,4			
ს/ს „ლაო" (ექსპერ. ჩაის საწნეხი კომბინატი)	35.0	401587	28080	6,9			2192 ლარი
ს/ს კედარი (ხე-ტყის და ქალალდის საწარმო)		32967	2250	6,8			
ს/ს „ციორი" (სართიჭალის საკონსერვო ქარხანა		57637	3510	6,0			
ს/ს ნხოროწყუჯესი	52.0	1211872	6820	5,6			1935 ლარი
ხორსა	48.0	431340	23535	5,4			3618 ლარი
ქიზიყი (წნორის ღვინის ქარხანა)	309	574393	30375	5,2			15445 ლარი
მშენებელი—12	84,3	83772	4500	5,3			
„სპეცჰელიოთბოშინტაჟი"	1,8	62543	3255	5,2			
„ქუთაისი"	91.0	720110	36450	5,0			
ს/ს ფოთის წისქვილკომბინატი		400653	20040	5,0		5273 ლარი	
ჰერეთი		153454	5980	3,9			
ბიზნეს ცენტრი საშენი მასალები		41047	1444	3,5			160 ლარი
თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა		1448064	59638	3,5			
ოზურგეთის ეთერზეთები		117343	1960	1,6			
ს/ს ლიფოტა (მარმარილოს კომბინატი)	43,0	166091	2620	1,5			
სპაგეტი—94		366782	4540	1,2	1716 ლარი		
შპს „დიმპი"				35,0			
სულ		.	597863		1716 ლარი	5273 ლარი	23350 ლარი

შენიშვნა: 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,462 აშშ დოლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 1996-2000 წლებში (პროცენტობით წინა წლის მიმართ)[1]

	1996	1997	1998	1999	2000
წინა წელთან	111,2	110,7	102,9	103,0	101,9
95 წელთან	111,2	123,1	126,7	130,4	132,9

ცხრილიN7

საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

დარგები	1990 %--ით ჯამთან	1994 %--ით ჯამთან	1998 %--ით ჯამთან
მრეწველობა სულ მათ შორის:	100	100	100
ელექტროენერგეტიკა	2,4	31,1	36,1
საბობი მრეწველობა	1,1	6,6	6,0
შავი მეტალურგია	3,4	12,5	8,3
ფერადი მეტალურგია	0,3	1,0	
ქიმ და ნავთობქიმ მრეწველობა	4,4	7,5	4,4
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	14,3	5,9	5,1
ხეტყის და ხის დამმუშავ. მრეწველობა	3,3	0,9	2,1
საშენ მასალათა მრეწველობა	5,1	2,2	2,9
მსუბუქი მრეწველობა	21,2	3,1	0,9
კვების მრეწველობა	37,4	17,0	30,5
მრ—სხვა დარგები	7,1	12,2	3,7

ცხრილიN8

მრეწველობის ზოგიერთი მაჩვენებელი 1998 წელს (საქმიანობის სახეობის მიხედვით)

	მოქმედ საწარმოთა რიცხვი	მ.შ. არ მუშაობდა 1998წ.დეკემბერში (%)	არ მომუშავე საწარმოთა წილი წარმოებულ პროდუქციაში(%)	წარმოებული პრუდუქციის ზრდის ტემპი 1997-98 წ.წ. (%)
მრეწველობა სულ (C+D+E) მათ შორის:	3131	37,6	100	97,3
სექცია C. სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	64	54,7	2,4	89,8
სექცია D.დამმუშავებელი მრეწველობა	2885	38,9	58,3	92,4
სექცია E.ელექტროენერგია, აირი და წყალმომარაგება	182	11,0	39,3	106,2

ცხრილი შედგენილია „საქართველოს სოციალურ—ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელს", თ ბ. 1998. გვ.9 მონაცემების მიხედვით.

[1] იხ. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიშგება წინადადებები საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლის ინდიკატური გეგმის პროექტისათვის, თბ; 1999, გვ. 90.

ცხრილიN9

სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლები 1998 წელს[1]

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი
საწარმოთა რაოდენობა სულ	რაოდენობა	13818	2681	11137
წარმოებული (გამოშვებული) პროდუქცია	მლნ. ლარი	1623,3	864,9	758,4
გამოშვებული პროდუქცია 1 საწარმოზე	ათასი ლარი	117,5	322,6	68.0
დასაქმებულთა რიცხვი სულ	ათასი კაცი	434,2	219,5	214,7
დასაქმებულთა რიცხვი 1 საწარმოზე	კაცი	31,4	81,9	19,3
ერთ დასაქმებულზე წარმოებული პროდუქცია	ლარი	3738,3	3939,7	3532,4

1 ცხრილი შედგენილია „საქართველოს სოციალურ—ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელს", ო. ბ. 1998. გვ.9 მონაცემების მიხედვით.

ცხრილიN10

თბილისის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები სფეროებისა და საკუთრების ფორმების მიხედვით[2]

დარგების დასახელება	შემოსავლების მოცულობა1995 წელს		შემოსავლების მოცულობა 1996 წელს		შემოსავლების მოცულობა 199 წელს	
	მილ. ლარი	ხვ. წ. %	მილ. ლარი	ხვ. წონა %	მლნ. ლარი	ხვ. წ. %
მრეწველობა	22,8	38,1	20,5	18,8	14,1	8,8
მშენებლობა	7,6	12,7	17,7	33,1	17,2	10,7
ტრანსპორტი	3,9	6,5	6,5	5,7	8,4	5,2
კავშირგაბმულობა	5,3	8,8	2,9	2,5	1,4	0,9
ვაჭრობა და საზოგაკოებრივი მომსახურეა	6,6	11,0	12,1	10,7	16,5	10,3
სხვა დარგები	13,7	32,8	53,4	29,9	103,2	64,1
სულ	59,9	100	113,1	100	160,8	100
მათ შორის						
სახელმწიფო სექტორი	24,6	41,1	47,9	42,3	81,2	50,5
არასახელმწიფო სექტორი	35,3	58,9	65,2	57,7	79,6	49,5

2 ცხრილი შედგენილია ქ. თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მასალების მიხედვით.

მიზნების პირამიდა

სქემა №1



საინფორმაციო გვერდი

➢ როგორც უკვე შეგატყობინეთ, სამუშაო ჯგუფი „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ საქართველოს პრეზიდენტის №95 ბრძანებულების სამოქალაქო მონიტორინგის პროექტში. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო 20-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია. მონიტორინგმა მოიცვა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონეები. ბრძანებულების თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მონიტორინგი განხორციელდა ექვსი ძირითადი მიმართულებით. შედეგად გამოვიდა *სამოქალაქო მონიტორინგის შედეგების ანგარიში* რომელშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ბრძანებულების 17-ვე მუხლის შესახებ სათითაოდ - მუხლების მიხედვით.

➢ აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტის ფარგლებში გამოიცა ბროშურა სახელწოდებით *„მიკროგრანტების პროგრამა“*. ბროშურა მოიცავს 2000 წლის განმავლობაში ლაგოდეხის და ოზურგეთის რაიონებში განხორციელებული მიკროპროექტებს. ამ წლის განმავლობაში დაფინანსდა 37 მიკროპროექტი. არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტების მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 2000 აშშ დოლარის, ხოლო საინიციატივო ჯგუფებზე – 1000 აშშ დოლარის ექვივალენტს. სულ პროექტების საერთო ღირებულებამ 2000 წელს შეადგინა 49 641 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. პროგრამა მიზნად ისახავდა ლაგოდეხისა და ოზურგეთის რაიონებში სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრიობის თვითმმართველობის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, პირველ რიგში კი მოსახლეობაში იმ რწმენის გაღვივებას, რომ საზოგადოების ჯანსაღი ინიციატივითა და ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია მრავალი ადგილობრივი პრობლემის ეფექტურად, სწრაფად და მცირე დანახარჯებით გადაწყვეტა. ამგვარმა ღონისძიებებმა საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის თანამშრომლობას.

➢ როგორც უკვე გაცნობეთ, ცენტის მიერ 2001 წლის მაისის თვიდან დაიწყო ცხრა თვიანი მიკროპროექტის *“საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება”* განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა სათემო ორგანიზაციების ლიდერების უნარ-ჩვევების ამაღლებასა და მოსახლეობასთან მუშაობის თანამონაწილეობითი ტექნიკების პრაქტიკაში დანერგვას. მაისის თვეში ტრეინინგების ციკლი თემთან მუშაობის უნარ-ჩვევებსა და თანამონაწილეობითი ტექნიკებზე ჩაუტარდათ ხუთი სათემო ორგანიზაციისა და ცენტრის რაიონული პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ტრეინინგებს უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტები ბრიტანული ორგანიზაციიდან “თემთან მომუშავე ტრენინგ ჯგუფების ნაციონალური ასოციაცია” და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან “ელკანა”. ივნისი-ივლისის თვეები ხუთი სამიზნე ორგანიზაციის მიერ ადგილებზე მოკვლევითი სამუშაოების ჩატარებას, მოსახლეობასთან შეხვედრების მოწყობასა და შესაბამისი პროექტების მომზადებას დაეთმო. ამ მიკრო პროექტის ფარგლებში სპეციალურად შექმნილი ხუთ კაციანი საბჭოს მიერ (მასში ცენტრის ერთ წარმომადგენელთან ერთად შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების: “ელკანა”, “კივიტას გეორგია”, “პარტნიორები დემოკრატიულ ცვლილებებში” და ასევე ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლები) წარმოდგენილი პროექტების განხილვა შედგა 30 ივლისს და გრანტი მიენიჭა ორ ორგანიზაციას: სათემო ასოციაცია გლდანს პროექტისათვის *“ბავშვთა ქალაქი აშენებს თემს”* და ასოციაციას “თემქა-ზღვის უბანი” პროექტისათვის *“საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრის შექმნა”*. თითოეული პროექტის თანხა შეადგენდა 3800 ამერიკულ დოლარის ექვივალენტს ლარებში. უკვე მიმდინარეობს ამ პროექტების დაწყებითი სამუშაოები. ორივე პროექტს მსვლელობის მონიტორინგსა და შეფასებას გაუწევს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნებულ იქნა 1995 წლის ივლისში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი წევრები არიან სხვადასხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ ცენტრისათვის პრიორიტეტულ პრობლემატიკაზე და თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრი სხვა ტრადიციული ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ დამოუკიდებელი მკვლევარისა და დამკვირვებლის როლით და ცდილობს, გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო სამეცნიერო და არასამთავრობო, არამედ სამთავრობო ორგანიზაციებთანაც, რათა საერთო ძალისხმევით შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ცენტრში დამუშავებული სტრატეგიული გეგმები საბოლოო სახეს მხოლოდ მრავალჯერადი საჯარო განხილვების შემდეგ ღებულობს, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობას.

ცენტრის რეგულარულ გამოცემებში — ბიულეტენებში გაშუქებული საკითხების ირგვლივ სისტემატიურად ეწყობა განხილვა-სემინარები.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

განხორციელებული პროექტები

1. კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
2. კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
3. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
4. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
6. არასამთავრობო გარემოსადაცვითი ორგანიზაციების ქსელის ეროვნული შეხვედრის მომზადება;
7. ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ბერგჰოფის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია

ცენტრის მხარდამჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო-დონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო დონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალეული დონისძიების სპონსორი კომპანია დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც დონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება დონისძიებაზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

მხარდამჭეროებით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22. საფოსტო ყუთი №45;
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭრით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში"
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3